975/
2001/2

# ბურჯი ეროვნებისა


[illegible]

დედა ენა

პირველი ნაწილი

ქართული ანბანი

პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და [illegible]

[illegible]

შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის-მიერ

[illegible] გამოცემა, მრავალი სურათით

ფასი ორი შაური, ყდით სამი შაური.

ტფილისი

[illegible]

1912.

№8-9
2001

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

რედაქტორები:
ციცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გუნარი ბურჯულაძე,
ლეილა ბეზუაძე,
კახა გაბუნია,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ლილი გოქსაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
ირინე დემეტრაძე,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
ინგა ლუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

კორექტორი
მირიან ხაჭვანი

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.

მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხილეთ ინტერნეტგაზეთში

www.TABLO.ge

E-mail. burji@posta.ge

## მარადიული შეგონება

დედაენის გაცვლა უცხო ენაზედ ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსურებს მას ზნეობრივს ძალასა.

იაკობ გოგებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


### სახელმწიფო ენა

„ქართულითა ენითა" ........ 2
ქართული ენა კატეგორიულად უარყვეს ........ 2
ი. ბერიშვილი, გადულებმა რომ ქართული არ დაივიწყონ ........ 3
განგაშის ზარი ........ 4

### პრობლემა

ლ. ბრეგაძე, ლაშქრობა სიტყვარულის წინააღმდეგ ........ 6
მ. ბაბუნაშვილი, თბილისის ქუჩებში გაგონილი სიტყვების კვალდაკვალ ........ 9

### თვალსაზრისი

ო. გვეტაძე, ილია ჭავჭავაძის სახისმეტყველება ........ 10
მ. ჭანტურაია, ვაჟას მხატვრული ენის თავისებურებანი ........ 13
ნ. დარასელია, ერთი ტერმინის განმარტებისთვის ........ 18

### არქივიდან

დ. მახარობლიძე, სიტყვა თქმული ბაქოში ნატარებულ აკაკის საიუბილეო საღამოზე 1908 წლის 21 დეკემბერი ........ 17

### მეთოდიკა

ლ. მელაძე, „აკადემიური ასოციაციის" სწავლებისათვის მე–11 კლასში ........ 20

### დედაენა ქართული

ო. თოლორაია, მშობლიური ენის საწმინდისათვის ........ 22
მ. ბურდიაშვილი, თეატრი სწორად მეტყველებას გვასწავლის ........ 23

### სიტყვა ქართული

ნ. შარაშენიძე, რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებები და ფრაზეოლოგიზმები ხალხურ მეტყველებაში ........ 24

### ჩვენი სკოლა

მ. ლომია, სიყვარულით ევლის ვაჟებს ცხოვრების გზაზე ........ 27

### ფრთხილად, მოზარდია!

გ. ბედოშვილი, საყმაწვილო ლიტერატურის „ახალი ჟანრი" ........ 28

### ახალი წიგნები ........ 6,7,8,12

ქართული ლექსიკოლოგიის შენაძენი ........ 30

### სამეცნიერო კონტაქტები

თ. გოგოლაშვილი, კრაკოვის საერთაშორისო კონგრესი ........ 31

### ინფორმაცია ........ 32

### მოსწრებული სიტყვა

ნიხელთ გოგოლის ხსარტულები ........ 32



ბურჯი ეროვნებისა
BURJI EROVNEBISA
№8-9 (45)
2001




უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.
იაკობ


გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

# ...„ქართულითა ენითა“...

გიორგი მერჩულე გვეხსენით: „ქართლად ფრიად ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულების“. ე. ი. რაი? ეროვნული ფაქტორის როლი სახელმწიფოებრივი მთლიანობის საქმეში უმთავრესია. ეს იცოდნენ გიორგი მერჩულის წინაპრებმაც და შთამომავლებმაც... ეს აქსიომაა. ამას მტკიცება არა სჭირდება. მაგრამ... რა ხდება დღეს? არის კი საქართველო ის ქვეყანა, სადაც „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“?.. ანდა სხვაგვარად: იმ ქვეყანაში, რომელსაც დღეს საქართველოს უწოდებენ, ქართული ენა ყველგან თავის უფლებებშია? ამ კითხვას ბავშვიც გასცემს პასუხს: რა თქმა უნდა, არა! რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქმე გამოსწორდეს: სახელმწიფო ენას სახელმწიფოში თავისი ადგილი მიუჩინოს?..

ამას წინათ ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე მთავრობის სხდომაზე, ჯავრობდა: მინისტრები აბუჩად იგდებენ ქართულ ენას... მერე? არაფერი. თითქოს და გათავდა...

სხვა ქვეყნებშიც უჭირდა სახელმწიფო ენებს. მაგრამ ვისაც სურვილი ჰქონდა, საქმე მოაგვარა. როგორ? ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ კანონი მიიღეს სახელმწიფო ენის შესახებ: საკანონმდებლო აქტები შექმნეს... ჩვენ? ჩვენთან დიდი ხანია პროექტი არსებობს კანონისა... არადა, ყოველდღე რომ საქმე ფუჭდება, ხომ ვხედავთ?! როგორც ჩანს, ვერ ვხედავთ! ანდა არ გვსურს რომ დავინახოთ! რატომ? ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს? საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ქართული სიტყვა რომ არ ისმის, რას ვაკეთებთ საიმისოდ, აქაც ქართული გაისმას? მეტიც, სადაც ქართული ქართულობდა, იქაც რომ იკარგება? სამუზეუმო მაქვს მხედველობაში...

მოდით, ჯერ სხვებს მოვუსმინოთ და მერე ჩვენც ვთქვათ...

# ქართული ენა კატეგორიულად უარყვეს

*(ინტერ-პრესი)* ოკუპირებული სოხუმი გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების წინააღმდეგია.

ახალ სასწავლო წელს სოხუმის განათლების სამინისტრო გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დაწყებას გამორიცხავს.

სოხუმის ხელისუფლების განათლების მინისტრის ბესლან დაბარის განცხადებით, აფხაზური მხარე გალის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნის, სწავლების წინააღმდეგი არ არის. მაგრამ გალის სკოლებში ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლებას ვერ დაუშვებს.

დაბარის თქმით, გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შესახებ მასთან საუბარი ჰქონდათ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრ მალხაზ კაკაბაძეს, რომელთან შეხვედრის შემდეგაც აღნიშნულ საკითხზე სოხუმის მთავრობის განათლების სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა და გალის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების ქართულით შეცვლა დაუშვებლად მიიჩნია.

მისივე თქმით, მომავალი ახალი სასწავლო წლის გალის სკოლებში პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს, ისევე როგორც შარშან, რუსულ ენაზე ისწავლიან და ვინაიდან აფხაზეთში სახელმწიფო ენა აფხაზურია, ქართველი ბავშვები, როგორც საგანს, აფხაზურ ენასაც ისწავლიან.



ალია №108 /1143/ 1-2 ნოემბერი 2001წ.

# გალელებმა რომ ქართული არ დაივიწყონ

რუსი ოფიციური ქართულ სახელმძღვანელოებს წვავდა.

ეს მოხდა 1994 წელს... სამშვიდობო ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაწილებს და მათი ერთი ნაწილი თავისივე ერთ-ერთ სკოლაში დაბანაკდა. ამ ნაწილის მეთაურმა სკოლის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები აღმოაჩინა და იკითხა: ეს, გალელებს ქართულ ენაზე დაწერილი წიგნები რას წარმოადგენსო? ქართული სახელმძღვანელოებია – განუმარტეს – ჩვენი მშობლიური ენა ეს არის და სწავლებაც ამ ენაზე მიმდინარეობსო.

რუსი სამხედრო პასუხით უკმაყოფილო დარჩა და ასე არ ეგონა. [illegible] მაშინ, თავის ჯარისკაცებს სკოლის ეზოში გამოატანინა ყველა სახელმძღვანელო, [illegible] გადაიტანა. ცეცხლი წაუკიდა და ხალხის თვალწინ დაწვა. აი, ასე მოვიხსენიოთ თქვენი!

ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს ქართველებს ეწყინებოდა და ამ ფაქტს [illegible] არ სწავლება [illegible] აფხაზების, [illegible] ქართულის [illegible], რომ გალის რაიონში მშობლიურ ენაზე სწავლება აკრძალულია. იქ ქართულ ენას უცხო ენის სტატუსი უჭირავს. სასწავლო ენად კი რუსული და აფხაზური აღიარებულია. პარადოქსი კი იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზურ ენაზე არ მოეპოვებათ არა თუ ამ საგნის შესაბამისი სახელმძღვანელოები, და I კლასიდან IV კლასამდე მოსწავლეები ერთი და იმავე წიგნით, ერთსა და იმავე საგანს გადიან. შემდეგ კლასებში კი სწავლება რუსულად გრძელდება. სწავლა ქრება, თითქმის [illegible] სკოლები არც აფხაზ და არც ქართველ ბავშვებს არაფერს აძლევს. სახელმძღვანელოების და სწავლებისთვის საჭირო [illegible] ნაკლებობის გამო აფხაზეთის მთავრობამ ბოლომდე ვერ განახორციელა თავისი მიზანი, ყველა ქართულ სკოლაში აფხაზურ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ. [illegible] ქართული [illegible] რომლებიც [illegible] ქართული ენა ქართული [illegible] მშობლიური ენის [illegible] და თუ [illegible]

ბოლომდე არა. გარკვეულ დონეზე მაინც სწავლება ამ ენაზე წარმოებს. მართალია, ეს ოფიციალური არ არის აფხაზეთის განათლების სამინისტროს მიერ, მაგრამ რაიმე სხვა გამოსავალი არ არის. ცალკეული პირები თვალს ხუჭავენ ამ „დარღვევაზე" და ურს მასწავლებლებს არ აშინებენ გალის განათლების განყოფილების გამგესთან, მხოლოდ აკვირდებიან, რომელიც [illegible] განათლების სფეროში კი არა, [illegible] ქმსახურებიდა და ცნობილი „[illegible]" სახელი აქვს მოხვეჭილი.

ქართველი პედაგოგები, სხვათა შორის, ცდილობენ, აფხაზიიდან მიღებული საქართველოს ისტორიაც გადმოსცენ მოსწავლეებს და გეოგრაფიაც.

ასეთ ვითარებაში [illegible] თქვენს [illegible], ამ სკოლებში, სადაც რუსულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც მეტად რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არ მოეპოვებათ საჭირო სახელმძღვანელოები და პედაგოგს სახელმძღვანელოდ უწევს ამა თუ იმ გაკვეთილის ქართულიდან რუსულად თარგმნა. მოსწავლე ვერ [illegible] სრულყოფილ რუსულით [illegible] გაკვეთილს, აქ შედეგად და სხვაც [illegible], რომ, აფხაზური და რუსული ენაზე [illegible], აფხაზურ სკოლებში [illegible].

[illegible]

გალის რაიონის ქართველი პედაგოგები [illegible], რომ მშობლიური ენა არ [illegible] თავიანთ აღსაზრდელებს.

ქართული სახელმძღვანელოები სჭირდებათ. თბილისში არსებულმა გალის განათლების განყოფილებამ ეს საკითხი არაერთხელ წამოჭრა სათანადო ინსტანციებში – იყო მხოლოდ დაპირებები, რომელიც საბოლოოდ ლიტონ სიტყვად დარჩა და სახელმძღვანელოდ ვერც გალელმა მასწავლებლებმა მიიღეს ხელფასები და მოსწავლეებმა – წიგნები.

როგორც გვითხრეს, ივლისში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლ. ცაავას ზუგდიდში შეხვედრა ჰქონია გალის სკოლების პედაგოგებთან და მასაც აღუთქვამს, აგვისტოს ბოლომდე ზემოთ ხსენებული პრობლემის მოგვარება. თუმცა არც ბატონი ლონდერი აღმოჩნდა სიტყვის კაცი.

ბოლო ცნობები:

ერთადერთი, სადაც ქართულ ჯერ კიდევ ვერ ამოუღებს გალის რაიონი. აქ 3 სტუდენტს სწავლა ნებაყოფლობით დაიწყო. ნებაყოფლობით, რადგან „ტყის ძმებმა" მუქარის შემთხვევებისგან თავი შეიკავეს და დაწყებით გადარჩენილ სკოლებში სწავლა ძველი სისტემით გაგრძელდა.

ზუგდიდში ჩვენი თანამშრომლებისა და იქაური მთავრობის ცალკეულ წარმომადგენელთა ძალისხმევით აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის ქართული სკოლები გაიხსნა სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, კიევი).

გალში დარჩენილი სკოლებიდან მხოლოდ 29 ფუნქციონირებს. ზოგიერთი სკოლის შენობა დანგრეულია [illegible]. [illegible] სკოლის შენობები შეიძლება არის გამოყენებული. გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე [illegible]

ირმა ბერიშვილი

„კვირის პალიტრა". 10-16 სექტემბერი 2001 წ. №37 (334)



საპარლამენტო ბიბლიოთეკა

# განგაშის ზარი

## რადიო პროგრამა „ენაი შემკული და კურთხეული“

2001 წლის 8 სექტემბრის გადაცემის სიუჟეტი

საუბრობენ მწერალი თამაზ ხმალაძე და პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

**თ. ხმალაძე** – პატივცემულო რადიომსმენელებო, სამწუხაროდ, ყველა ქართულ ბავშვს საშუალება არა აქვსო, ახალ სასწავლო წელს დედაენაზე დაიწყო სწავლა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. როგორც ჩვენი პრესა(?) იუწყებოდა, ოფიციალური სოხუმი გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის წინააღმდეგია. სოხუმის სეპარატისტების განათლების მინისტრის განცხადებით აფხაზური მხარე გალის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნის, სწავლების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ გალის სკოლებში ყველა საგნის ქართულად სწავლებას არ დაუშვებს. მინისტრის თქმით, გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შესახებ მასთან საუბარი ჰქონია(?) საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს. რომელთან შეხვედრის შემდეგაც აღნიშნულ საკითხზე სოხუმის მთავრობის განათლების სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა და გალის რაიონის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების ქართულით შეცვლა დაუშვებლად მიიჩნია. მისივე თქმით, ახალ სასწავლო წელს გალის სკოლებში პროგრამით გათვალისწინებული საგნები, ისევე როგორც შარშან, რუსულ ენაზე ისწავლება და ვინაიდან აფხაზეთში სახელმწიფო ენა აფხაზურია, ქართველი ბავშვები, როგორც საგანს, აფხაზურ ენასაც შეისწავლიან. ამასთან დაკავშირებით, პატივცემულო რადიომსმენელებო, გვინდა გესაუბროთ, შემოგთავაზოთ საუბარი ამ თემაზე. სტუდიაშია ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

ბატონო გიორგი, თქვენც მოისმინეთ და ალბათ ჩვენი მსმენელების უმეტესობამაც. ჩვენი წინა გადაცემის სიუჟეტი გალის რაიონის სკოლებში სწავლების საკითხებს რომ ეხებოდა, მაგრამ მაინც შევახსენებთ ქართველი პარტიზანების განცხადების ერთ მონაკვეთს, სწორედ ამ საკითხს რომ შეეხება: „აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანები მიიჩნიან, რომ სამურზაყანოს ქართველობა დიდი ეროვნული და იდეოლოგიური გადაგვარების საფრთხის წინაშეა, რადგან ამ რაიონში მცხოვრებ 99 პროცენტ ქართველს უკრძალავენ(?) მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლას. სკოლებში არ ისწავლება აგრეთვე საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია. სწავლაში გამოყენებულია რუსული ენა. პარტიზანები გადაწყვეტით(?) არ დაუშვებენ რუსიფიკაციას და აფხაზ სეპარატისტთა [illegible] შეგნებულ(?) [illegible] ქართველების შევიწროებას. გალის რაიონის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა შექმნას ყველა პირობა, რათა პირველი სექტემბრიდან გალის რაიონის ძველ საზღვრებში ყველა სკოლაში აღადგინოს სწავლება იმ ენაზე, რომელზეც იყო კონფლიქტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში 10 სექტემბრიდან დავწვავთ ყველა სკოლას“.

ბატონო გიორგი, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერავის მოვუწოდებთ და ვერც მოვუწონებთ სკოლების დაწვას, თუნდაც იმიტომ, რომ ეს გამოსავალი არ მოგვცემს(?). მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ქართველ ბავშვებს საშუალება არა აქვთ დედაენაზე განათლების მიღებისა, ძალიან საგანგაშოა და მხოლოდ პარტიზანების გამოსაწვევი საქმე არ უნდა იყოს.

**გ. გოგოლაშვილი** – გეთანხმებით, ბატონო თამაზ. ეს ინფორმაცია უფრო ადრეც მქონდა: თქვენი წინა გადაცემისთვისაც მოვისმინე. მართლაც საგანგაშო ცნობაა. გეთანხმებით იმაშიც, რომ პარტიზანების განცხადების მეორე ნაწილი – რომ დაწვავენ სკოლებს, თუკი ქართულად არ იქნება სწავლება – გამოსავალი არაა, საკითხს არ მოაგვარებს. ეს სიტუაციას უფრო გაამწვავებს და ისედაც ჩვენი გამოუსწორებელი(?) [illegible] – ვწვავთ სკოლებს... ჩვენთვის ისიც გასაგებია, რომ პარტიზანებს სხვა ძალა არ შესწევთ: სხვაგვარად ამ საქმეს ვერ უშველიან.

**თ. ხ.** – თუ ეს შეიქმნა, სკოლა დაიწვება, სასწავლო პროცესი შეწყდება(?). ყოველივე ასეთი შემთხვევები, ომებში გადამწვარი(?) [illegible]...

**გ. გ.** – ასე იქნება ამ შემთხვევაშიც. ჩემთვის ყველაზე მწარე და მძიმე იმის ფიქრია, რომ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ პარტიზანების საფიქრალი...

**თ. ხ.** – იქნებ ასეც არის და სხვებიც არიან დაინტერესებულნი. ჩვენ წეღან განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ვახსენეთ.

**გ. გ.** – მე რეალური საქმე მაინტერესებს: როცა ეს განცხადება ასე გაჩნდება: როცა თქვენ, ბატონო თამაზ, მე თუ ჩვენს მსმენელებს ეს ამბავი უშუალოდ მოგვდის(?) [illegible], რატომღაც დამამშვიდეს და მითხარი(?), შენ რომ ხელისუფლება ხარ, არ არის ასეთი: ასეთი რაღაც უშუალოდ(?) საქმეს. თქვენს წინა გადაცემაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი გვასწავლიდა, რომ ასეთ საკითხებს ხმამაღლა საუბარი არ სჭირდება. მაგრამ როცა ხმამაღლა გავიგებ ამ განცხადებას და ამ ფაქტებს, მაშინ მე ხმამაღლა უნდა მითხრა და დამამშვიდო: ძალიან სწორადაა შენიშნული განცხადებაში, რომ ეს [illegible] ნაბიჯია(?). როგორც აღნიშნეს, 80 პროცენტი მეგრელი მოსახლეობისა გალის რაიონში დაბრუნდა: მაგრამ ამ 80 პროცენტს, ბატონო თამაზ, მა

შვილებს თუ ჩვენ ნამდვილობით მშობლიურ ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას და საქართველოს გეოგრაფიას, წერა-კითხვას არ ვასწავლით ქართულად, ეს რას ნიშნავს? ხვალ, ზეგ და მაზეგ ის მოსახლეობა გალის რაიონისა აღარ იქნება ქართველი; შეიძლება ქართველი გვარი, სახელი ჰქონდეს (თუკი შერჩა, ეს სახელი) რომ ისინი იყვნენ ქართველები... ელემენტარული ჭეშმარიტებაა: ვინც იზრდება ქართული ენის, ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის გარეშე, ის აღარაა ქართველი. ფაქტობრივად ხელში შეგვრჩება ისეთი „ქართველობა", როგორიც არსებობს დღეს



სეპარატისტულ მხარეზე - ისტორიულად ქართველი; თა-ზე ქუ-სა თუ შალ-ზე დამოკიდებული გვარებიანი „აფხაზები".

**თ. ხ.** - ვერტიკალური ქართველობა აღარაა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი.

**ბ. ბ.** - ცნობიერებით უნდა იყოს ქართველი, აზროვნებით უნდა იყოს ქართველი, სულით უნდა იყოს ქართველი; ამის ნაცვლად ცდილობენ ისინი და იღწვიან ძალიან მიზანს. ამის უპირველესი მაგალითი ვიცით - ვერტიკალური ქართველი რომ არ არის ქართველი, არც ქართველობს. აი, ამისი უნდა გვეშინოდეს. დღეს ჩვენი იურისდიქცია იმ რეგიონში არ მოქმედებს და როდის აღდგება, კაცმა არ იცის.

**თ. ხ.** - ღმერთმა ქნას, მალე აღდგეს.

**ბ. ბ.** - მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ აფხაზეთში დროებით დაბრუნებაზე და კონფლიქტის დროებით მოგვარებაზე, ის, რაც ახლა ხდება გალში, უზარმაზარ პრობლემას შეგვიქმნის სამომავლოდ. თაობები გაიზრდება არაქართულად. ამ შემთხვევაში აღბათ კითხვა დადგება, ვინ უნდა იზრუნოს, ვინ უნდა მოაგვაროს საქმე. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანმა. მაგრამ მე მეორე საკითხი მაღელვებს: რას აკეთებენ ისინი, ვისაც ამაზე ხმის ამოღება სამსახურებრივად ევალებათ.

ჩვენ ვზრუნავთ უფლებების დაცვაზე. დიახ, ადამიანის უფლებებზე, პატიმრების უფლებებზე და ა.შ. მაგრამ ქართველ ბავშვს რომ წაართვეს უფლება მშობლიურ ენაზე სწავლისა? აიძულებენ მათ, არ ისწავლონ ქართულად. ამაზე დიდი დარღვევა ადამიანის უფლებებისა, რა შეიძლება იყოს. რატომ ამ კითხვით არ დაუსახავთ ამ ფაქტს და არ აჟღერებენ განგაშს... რატომ არ იღებენ ხმას ის ორგანიზაციები, ის საზოგადოებები, ვისაც ეს ევალება. ერთი რელიგიური სექტის წევრებმა მეორე რელიგიური სექტის წევრები რომ შეურაცხყვეს, მსოფლიოს გააგებინეს, დაირღვა მათი უფლებები და ახლა რატომ დუმან?

სადაა ის საერთაშორისო საზოგადოება, „უფლებადამცველი" ორგანიზაციები რომ დადიან მხარში? მიწვდა ეს ხმა მათ, ვინც მხარი უნდა დაუჭიროს იმ იდეას, რომ ბავშვს უფლება აქვს მშობლიურ ენაზე ისწავლოს? თუ ეს ასე არაა, ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც სურს ჩვენს მტერს - ქართველ ბავშვებში ქართული და ქართველობა რომ ჩაკლას. არ შეიძლება ამის წაყრუება; არ შეიძლება ჩვენ ეს საქმე გადავდოთ იმ დროისთვის, როცა მოგვარდება კონფლიქტი; ეს თაობები ჩაივლიან და უქართველოდ ჩაივლიან... „გვახსოვდეს აფხაზეთი" - გვახსოვს კი? და თუ გვახსოვს, ეს ფაქტი რატომ არის ჩვეულებრივ ფაქტად გააზრებული (კონფლიქტის რეგიონში მიმდინარე სხვა რიგით ფაქტებთან ერთად...).

**თ. ხ.** - თქვენ იმას ამბობთ, რომ მხოლოდ პარტიზანების საფიქრალი არ უნდა ყოფილიყო ეს; მათ არ უნდა უხდებოდეთ ასეთი განცხადების გაკეთება.

**ბ. ბ.** - ეს პარტიზანების საქმე იქნებოდა, რამდენადაც ქართული საქმე და ყველა ჩვენგანის საფიქრალსაკითხელია; მაგრამ საქმეს მხოლოდ პარტიზანები არ უნდა აგვარებდნენ და არ უნდა გვაიძულებდნენ ჩვენ, თუ არ მიხედავ ამ საქმეს, სკოლებს დავწვავთო. მთავრობა რომ ხარ, ხელისუფლება რომ ხარ, შენ უნდა მიხედო ამას...

**თ. ხ.** - ბატონო გიორგი, ამ თემაზე ბევრი შეიძლება ითქვას. მაგრამ დღეს ამით დავასრულოთ საუბარი. ჩვენს მსმენელს კი მინდა ვუთხრა, რომ ამ თემას ჩვენ შემდგომ გადაცემებშიც დავუბრუნდებით.

ლევან ბრეგაძე

# ლაშქრობა სიყვარულის წინააღმდეგ

ჩემი ნება რომ იყოს, ზურაბ კაკაბაძის ორ ესეის შევიტანდი საშუალო სკოლის პროგრამაში. ერთი გახლავთ „ხელოვნება და მისი აუდიტორია", მეორე — „ფიქრები ერთი „ძველი ფილმის" საბაბით".

მოდით წავიკითხოთ ერთი ნაწყვეტი პირველი მათგანიდან:

„აშკარაა, რომ სტრიპტიზის „უწყინარ ლონისძიებაში" ინდუსტრიის ვერაგი განზრახვა იმალება — სიყვარულის ნიჭი და შესატყვისი ბედნიერება წაართვას ადამიანს და. ამგვარად, მისი ყურადღება, დრო და ენერგია ინდუსტრიისათვის გამოათავისუფლოს.

ასეთივე ხასიათისაა, სხვათა შორის, თანამედროვე ინდუსტრიული ცივილიზაციის ის „სრულიად უწყინარი" სიახლე, რომელიც „ულტრამინიმოდაში" გამოიხატება. ერთი შეხედვით, ეს უბრალოდ ტანსაცმლის მოდაა, რომელსაც სხვა არაფერი ამოძრავებს, თუ არა საკუთარი შინაგანი მოტივი — გარეგნობის შელამაზების მოტივი (...) ვითომცდა ეს, ქალის შელამაზების მოდაა, ვითომცდა ამას სხვა არაფერი განსაზღვრავს, თუ არა ესთეტიკური მოტივი (...) ტანსაცმლის დამოკლება-დავიწროებას სრულიად გარკვეული საზღვრები უდევს, რომელთა გადალახვისას მთავრდება გარეგნობის შელამაზების „ესთეტიკური ღონისძიება" და თავისებური დეეროტიზირებული სექსუალური ორგია იწყება. „ულტრამინიმოდის" პირობებში მამაკაცი ყოველდღე და ყოველ საათს, ქუჩასა თუ რესტორანში, საკონცერტო დარბაზსა თუ საკანცელარიო ოთახში, ყოველგვარი წინასწარი დისტანციის გარეშე და თანაც, ნაირნაირ ქალთან უშუალოდ შედის სექსუალური ალერსის ურთიერთობაში ისე, რომ წუთით დაყოვნებას ვერ ასწრებს, რათა თვალებში მაინც ჩახედოს რომელიმე მათგანს, ოდნავ მაინც იგრძნოს და განიცადოს ქალი — პიროვნება. ქალიც თავის მხრივ, დაუყოვნებლივ ექვემდებარება ამ ალერსს. ეს „დაუყოვნებელი" და „განსაზოგადოებრივებული" „ოფიციალური" სექსუალური ურთიერთობა, რომელიც გამორიცხავს სიყვარულს, ბოლოს და ბოლოს მყარი ჩვევის ძალას იძენს, ადამიანი კარგავს სიყვარულის ნიჭსა და უნარს — და სწორედ ესაა კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაციის ფარული განზრახვა: ადამიანის ყურადღების, დროისა და ენერგიის გამოთავისუფლება ინდუსტრიისათვის".

ამაზე ცოტა წინ ვკითხულობთ.

„საქმე ისაა, რომ სიყვარულის გრძნობა ფრიად სახიფათო კონკურენტია ინდუსტრიისათვის — შეყვარებული ერთობ არაეკონომიურად იქცევა, ბევრ დროს, ენერგიასა და ყურადღებას ფლანგავს არასაწარმოო სფეროში; ამ აზრით, იგი ცუდი მწარმოებელია (...) შეყვარებული კაცი არ შეიძლება იყოს ინდუსტრიის ჯარისკაცი.

ხოლო რა ემართება ინდივიდუალობადაკარგულ, სულიერი ფასეულობების გარეშე დარჩენილ „ინდუსტრიის ჯარისკაცს". ეს შეგიძლიათ შეიტყოთ ზურაბ კაკაბაძის ზემოთ დასახელებული მეორე ესეიდან „ფიქრები ერთი „ძველი ფილმის" საბაბით".

ზურაბ კაკაბაძე ბრძენი კაცი იყო, მაგრამ, ალბათ, ისიც ვერ წარმოიდგენდა, რა მასშტაბებს მიაღწევდა „განსაზოგადოებრივებული", „ოფიციალურად" ნებადართული, ეროტიზმისაგან, ანუ სიყვარულისაგან სრულიად დაცლილი სექსუალური ორგია საქართველოში მისი გარდაცვალებიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ! ვერ წარმოიდგენდა, უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ქართული პრესა, ქართული მწერლობა ასეთი ხალისითა და აღტკინებით ჩაებმებოდა სიყვარულის, ანუ ადამიანობის წინააღმდეგ მსოფლიო ინდუსტრიის მიერ ორგანიზებულ ლაშქრობაში; ჩაებმებოდა ყველაზე რადიკალური ფორმით — გენიტალიებზე და სექსთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ პროცესებზე ტაბუს სრული მოხსნით, რომლის მსგავსსაც არ იცნობს არც ერთი ხალხი, არც ერთი ქვეყანა.

ქართული პრესა, ქართული მწერლობა, თურმე იმისთვის ესწრაფვოდა თავისუფლებას, რომ გენიტალიების ხსენებით ეჯერებინა გული. თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა

## ახალი წიგნები



ისე ხატავდა უკიდურესად თამამ ეროტიკულ პასაჟებს, ერთხელაც არ დაურღვევია გენიტალიებზე დადებული ტაბუ. ხუთიოდე წელიწადში კი ქართული პრესის ფურცლებზე ამ ტაბუს დარღვევის ყველა რეკორდი მოიხსნა, ამ მხრივ ჩვენ მსოფლიოში ნამდვილად პირველ ადგილზე გავედით!

ის, რაც ამ „ხაზით" ჩვენს პრესაში და, საერთოდ, მასობრივად გასავრცელებელ ნაბეჭდ პროდუქციაში ხდება, შეიძლება ძალიან ზუსტად დახასიათდეს ერთი ჟარგონი სიტყვით — „გოიმობა". ამ „გოიმობის" წინაშე უმწეო აღმოჩნდა ჩვენი „განათლებული" საზოგადოება, უმწეო აღმოჩნდა ჩვენი „ძლავრი" შემოქმედებითი კავშირები, მსოფლიო მასშტაბით „სახელგანთქმული" ჩვენი ჰუმანიტარული ინსტიტუტები...

ტაბუს დარღვევა არასოდეს რჩება დაუსჯელი. ნურავინ იფიქრებს, რაკი მორალური კანონები ადამიანის „მოგონილია", რაკი მორალური შეზღუდვები ადამიანთა დადგენილია, ადამიანთა კონვენციის შეთანხმების შედეგია, მათთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელი არ იყოს. მორალით, ეთიკური ნორმებით ადამიანი უძლიერეს ინსტინქტებს იზღუდავს. რატომ გაიჭირვებდა ამდენს, ეს რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი არ იყოს!

ტაბუ გენიტალიებზე აუცილებელია ადამიანთა ადამიანური არსებობისათვის.

უცნაურია ეს? ნამდვილად უცნაური! შეიძლება ამაზე უცნაური არც არაფერი იყოს ქვეყანაზე! საერთოდ დიდი უცნაური რამ არის მორალი. გაიხსენეთ იმანუილ კანტის ნათქვამი: „ორი რამ ავსებს ჩემს სულს უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწიწებით (...) ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში".

განა უცნაური არ არის, რომ გენიტალიების საჯაროდ ხსენება მკვდარ ენებზე (ძველბერძნულად, ლათინურად) შეიძლება, ცოცხალ ენებზე — არა!

ერთხელ ლიტერატურის ინსტიტუტში პეტრე შარია კითხულობდა მოხსენებას სიღრმისეულ ფსიქოლოგიაზე. კამათში ოთარ ჯინორია გამოვიდა სიტყვით და, სხვათა შორის, ასეთი რამეც თქვა: საინტერესო მოხსენება იყო, მაგრამ ბატონმა პეტრემ რამდენჯერაც ფალოსი ახსენა, იმდენჯერ ბოდიში მოიხადა. რა არის აქ საბოდიშოო. ამ დროს ბესო ჟღენტის რეპლიკა გაისმა: „აბა თქვი ქართულად!"

ბატონმა ოთარმა ცხადია ვერ თქვა ქართულად ეს სიტყვა აუდიტორიის წინაშე, მაგრამ ის კი მართალი ბრძანა, რომ საჭიროებისას ფალოსის თუ პენისის ხსენება უბოდიშოდ შეიძლება.

უცნაურია? ძალიან უცნაურია, მაგრამ ტაბუ და ევფემიზმი უაღრესად საინტერესო მოვლენებია კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. ტაბუ და ევფემიზმი იცავს ადამიანთა ჯიშსა და ჯილაგს გადაგვარებისაგან. ეს ზოგადად, ხოლო კონკრეტულად — გენიტალიებზე, ანუ გამრავლების ორგანოებზე დაწესებული ტაბუ გაუფასურებისაგან, გაუბრალოებისაგან იცავს სექსუალურ ურთიერთობას, იცავს სიყვარულს...

ხელოვნება უხსოვარი დროიდან მიმართავს ეროტიკას. ეროტიკის გარეშე ხელოვნება მეტისმეტად გაღარიბდებოდა. მაგრამ საზიზღრობაა, როცა ეროტიკა უხამსობაში

## ახალი წიგნები









გადადის. უაღრესად ეროტიკულია გოეთეს „რომაული ელეგიები“, მაგრამ იქ არსად არის სახელდებით ნახსენები გენიტალიები; არც ბოკაჩოს „დეკამერონში“, არც მოპასანთან, არც მიხეილ ჯავახიშვილთან... რატომ? რატომ? ძნელი იქნებოდა ყველაფრისთვის თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა? ცხადია არა! ამაზე ადვილი რა არის, არავითარი ხელოვნება და მწერლური ოსტატობა ამას არ სჭირდება, მაგრამ არ შეიძლება — ტაბუ, ვაშინერს!

აი, ერთი ამონაწერი კ. გ. იუნგის წიგნიდან „ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები“: „მე ჩემს თავს ვერასოდეს ვაიძულებდი, სექსუალური სფეროსთვის ამოდენა ინტერესი დამეთმო (...). ეს ნევროტიკული სისულელეა. ნორმალური, ჭკუადამჯდარი ხალხი ამაზე დიდხანს არ საუბრობს ხოლმე. ასეთი რაღაცეების შესახებ დიდხანს მსჯელობა ბუნებრივი არაა. პრიმიტივები (იგულისხმება ე.წ. არაცივილიზებული ტომის წევრები —ლ.ბ.) ამ მხრივ ძალიან თავშეკავებულნი არიან. ისინი სქესობრივ ურთიერთობაზე ისეთი სიტყვით მიუთითებენ, რომელიც იმასვე ნიშნავს, რასაც „ჩუ“. სექსუალური ამბები მათთვის ტაბუა და ასევეა ჩვენშიც, როცა ბუნებრივად ვიქცევით“.

დააკვირდით: „ასევეა ჩვენშიც, როცა ბუნებრივად ვიქცევით“.

ზოგჯერ ამბობენ, აი, ხალხურ პოეზიაში არის უხვად სკაბრეზული ლექსიკა. დიახ, არის, ზეპირსიტყვიერებაში. ეს გახლავთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შინაგანი წინააღმდეგობის გამოხატულება: ტაბუდადებული სიტყვები მოიწევენ დღის სინათლეზე გამოსასვლელად. ზოგჯერ ახერხებენ კიდეც „გარღვევას“ (ზეპირსიტყვიერებაში და, საერთოდ, ზეპირ-მეტყველებაში), მაგრამ მორალური კანონი არ უშვებს მათ უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამით მორალი იცავს სექსუალურ ურთიერთობებს გაუფასურებისაგან, იცავს სიყვარულს ადამიანში, იცავს ადამიანს.

დიახ, ტაბუს დარღვევა ფსიქიკურ დარღვევებს იწვევს, ნევროზებისა და ფსიქოზების წყაროა.

არაცნობიერი მოუსყიდველია. იგი იწყნარებს მხოლოდ გულწრფელ სინანულს, გულწრფელ აღსარებას, გულწრფელ დაგმობას საკუთარი უზნეობისას, გულწრფელ სინდისის ქენჯნას, რაც მთელი ცხოვრება უნდა გაგყვეს. „როდესაც შენს ცოდვებს საკუთარ კისერზე იღებ, მათთან ერთად ცხოვრება უკვე ასატანია, — გაიძლება, მაგრამ თუკი მათ თვალს ვერ უსწორებ, მაშინ გარდაუვალ შედეგებს ვერსად გაექცევი“ (კ. იუნგი).

ტაბუს დარღვევა დიდი ცოდვაა კაცისთვის, ხოლო თუ მთელი საზოგადოება ყოველ ნაბიჯზე ისე დაარღვევს ტაბუს, როგორც ჩვენ ვარღვევთ; თუკი, სადაც თვალი მიგიწვდება, ყველგან პორნოგრაფია, სექსი და უხამსობაა გამოფენილი; თუ, ერთი შეხედვით, სერიოზული მწერლებიც კი ბილწსიტყვაობენ და დიდ სიამოვნებას ანიჭებთ სასქესო ორგანოების აღმნიშვნელი ან მათთან ფონეტიკურად მიმსგავსებული სიტყვების „გონებამახვილური“ ჩასმა ლექსში, მოთხრობაში, სტატიაში? მაშინ რა? რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს რელიგიასაც და ისტორიასაც: სექსუალური უზნეობის მასობრივი გაპარპაშება ნაღდი ნიშანია იმისა, რომ ესა თუ ის საზოგადოება, ადამიანთა ესა თუ ის ერთობა, ესა თუ ის ცივილიზაცია თავის აღსასრულს უახლოვდება. გაიხსენეთ ბიბლიური სოდომი და გომორა. გაიხსენეთ, უზნეობის როგორი აყვავება უძღოდა წინ ანტიკური ცივილიზაციის აღსასრულს. როდესაც არქეოლოგებმა ვეზუვის ლავით დაფარული პომპეი გათხარეს, კედლებზე უბილწესი წარწერები აღმოაჩინეს. დღეს კედლებს ამით ვინ შეებღალავს. რა უნდა თანამედროვე ცივილიზებული ქალაქის კედლებზე ამგვარ წარწერებს! ამისთვის აგერ, ბატონო, ქართული პრესა, ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართული წიგნი... და თუ ძველ ბაბილონს, აწ უკვე აღგვილს პირისაგან მიწისა, დღესაც იხსენებენ ხოლმე როგორც „დიდ მეძავს“, მალე თბილისიც დაიმსახურებს რაღაც ამის მსგავს უკვდავ სახელს...

1997 წელი, „არილი“

## ახალი წიგნი



# თბილისის ქუჩებში გაგონილი სიტყვების კვალდაკვალ

საღამო ხანი იყო, შინისკენ ფეხით მივუყვებოდი გზას... უეცრად ქალის ხმა მომესმა: „შე დედაფურატო, ტვინის მაგივრად თივა გიდევს თავში? აზროვნების უნარი არ გაგაჩნია, რა გაფუჭდი აღარ იცი?! წმინდა წყლის კრეტინი ხარ, ჩემი ნერვების დასაწყვეტად გაჩენილი..." უკან მივიხედე. სულ ცოტა, გონებაშეზღუდული და ფიზიკურად მართლა განუვითარებელი ბავშვის დანახვას ველოდი. მაგრამ სასტიკად დავცდი, როცა ხელთ 8 წლის თვალხატულა, კოხტა ბიჭი შემრჩა. დედამისი კი არ ცხრებოდა და გაალმასხებული ბობოქრობდა: „რაში გეხადელება ჩემი შრომა, ფეხზე გკიდია, ვწვალობ თუ არა, ამისთანა იდიოტი რითემდე უნდა იყო!" ბავშვი ჩუმად, თავჩაქინდრული მიუყვებოდა ქალს, ცრემლით სავსე თვალების დამალვას ცდილობდა, ერთი ხელი ქონდა, ცხვირსახოცივით ხალხის მაღლა გარიდებოდა.

ვერ გავბედე განრისხებული დედის „დაშოშმინება". მაგრამ ჩემმა გვერდით მიმავალმა ხნიერმა ქალმა ვერ მოითმინა:

– შვილო, რა დაგიშავა ამ პატარა ბიჭმა, ასე რომ ეჩხუბები?

– რა და, ამ სამი დღის წინ ნაყიდი შორტი ჯერ დაიხია, მერე კი რაღაცას გამოსდო და გამოგლიჯა. არ არის მოსაკლავი, ეს იდიოტი ესა? – და გაკაპასებული ქალი კვლავ ქოჩორში წასწვდა ბავშვს.

– ამის გულისთვის ბავშვის დასჯა და გამოლანძღვა როგორ შეიძლება? – უსაყვედურა ხანში შესულმა ქალბატონმა.

ახალგაზრდა ქალი ჯერ შეცბა, მერე კი იფეთქა:

– ვითომ ჩემზე მეტად გიყვარდეს ჩემი შვილი? გამომიჩნდა გოგებაშვილი და მაკარენკო. გადი რა, ქალო, გზას ბარაქა დააყარე. ამას მე მოვხედავ... წამოდი, შე კრეტინო, შენი გულისთვის ვიღაც დედაბერმა როგორ უნდა მომცეს შენიშვნა?! ნაბიჯს მოუჩქარეს და წავიდნენ. გული დამწყდა მეც და იმ ქალბატონსაც. „ეჰ, შვილო, კი არ გეწყინოს, მაგრამ დღევანდელი დედების უმრავლესობა ამ სიტყვებით ზრდის შვილებს... ჯანსაღი ფსიქიკის ახალგაზრდად როგორ ჩამოყალიბდება ეს პატარა ბიჭი, როცა დედისგან ბავშვობიდანვე ასეა დათრგუნული, სამაგიეროდ, პროტესტის გრძნობა ჭაბუკობისას გაუძლიერდება. მერე აღარც დედის შეეშინდება და აღარც სხვებს შეუშინდება. სულ-გაუხეშებულ ადამიანს კი იოლად შეუძლია ნებისმიერი სისაძაგლის ჩადენა," – მითხრა ქალბატონმა და გულდაწყვეტილი გამშორდა.

უნებურად გოგლა ლეონიძის დეიდა მაიკო გამახსენდა. მწერალს მთელი სიცოცხლე ახსოვდა ტკბილი დეიდის ალერსიანი სიტყვები, რომლითაც პატარებს თავს ევლებოდა: „ჩემო სიცოცხლის ცისკარო!... ჩემო გაშლილო იაო!... ჩემო ბაღის კუნწულავ!... დედის ოქროს შანდალო!... ჩემო დამტირებელო, მშვენიერო თვალებო!.. იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მიმაგონდი".

თვით გოგლა ჰკვირობდა: „რატომ აღარ ვალერსით ამ სიტყვებით, რად გავიძარცვენით, ხომ გვცოდა უამსიტყვებოდ?! რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს? რატომ დაჰკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ, ისე გახევდა ჩვენი გული, რომ თბილი, მდუღრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო?!"

კიდევ კარგი, დღევანდელი მეტყველება არ ესმის სასიქადულო მწერალს, თორემ თავის ლამაზ და თბილ სიტყვებს გაასუსხიანებდა და წყევლასავით გადაჰკრავდა ყველას.

მოვუაროთ ჩვენს შვილებს, მათ სულებს... მოვუაროთ საქართველოს! ქვეყნის პატრონობა ხომ ენის პატრონობით იწყება?!

მარინა ბაბუნაშვილი

„კვირის პალიტრა," 30-5 ივლის-აგვისტო 2001

ომარ გვეტაძე

# ილია ჭავჭავაძის სახისმეტყველება

ილია ჭავჭავაძის პროზაულ ნაწარმოებებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ილიას მოთხრობები თავიანთი პრობლემატიკით, მხატვრული ასახვის სიძლიერით დღესაც, მე-20 საუკუნის მიწურულის გადასახედიდან, კვლავ ძალუმად ახდენენ თავიანთ გამაკეთილშობილებელ გავლენას მკითხველზე.

აღნიშნულია, რომ სამოციანელებმა ქართულ მწერლობაში შემოიტანეს ახალი იდეები, ახალი თემატიკა, ყურადღება გაამახვილეს სოციალურ საკითხზე, რომელიც თითქმის მთავარ თემად ჩათვალეს და ყველა დანარჩენი საკითხი სოციალური თვალსაზრისით გააშუქეს და შეაფასეს.

ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელ მკვლევართა ნაშრომებში უპირატესად ყურადღებაა გამახვილებული მწერალზე, როგორც ბატონყმობის უსამართლობის მამხილებელზე, მის შემოქმედებაში სატირულ, მორალისტურ, ხალხურ ტენდენციებზე და ა.შ. ამას შეიძლება მთლიანობაში ვეწოდოთ თუ „რაზე" წერს მწერალი. მაგრამ „როგორ" წერს, ე.ი. მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე, ანუ ძველი ქართული ტერმინით რომ ვთქვათ — სახისმეტყველებაზე, პირველის ტოლფასად ჯერჯერობით არ არის მკვლევართა ყურადღება მიქცეული. ამ ცოტა ხნის წინ ერთი ცნობილი მეცნიერი წერდა: განსაკუთრებით სწავლობენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეურ-შინაარსობრივ მხარეს. სამაგიეროდ კი მისი შემოქმედების სტილის საკითხი ჯერჯერობით არცთუ ისე ფართოდ არის გაშუქებული, თუმცა ი. ჭავჭავაძის შემოქმედების სტილის, გამოსახვის საშუალებების თავისებურებებს, მხატვრულ მრავალპლანიანობას ხაზს უსვამენ თავიანთ შრომებში გრ. კიკნაძე, გ. ასათიანი, გ. ზაუტაშვილი, ლ. მინაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. ჯიბლაძე, აპ. მახარაძე, შ. რადიანი, ვ. კოტეტიშვილი, ბ. ზანდუკელი და სხვ.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის ჭეშმარიტება, რომ ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულობის დონეს განსაზღვრავს არა მხოლოდ მასში გადმოცემული იდეები, არამედ აგრეთვე მწერლის უნარი გამოძერწოს თავისთავადი, განუმეორებელი სახეები, სცენები, დეტალები...

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ იხატება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო, სულიერი განცდები — დიალოგში, ჟესტით, მიმიკით, მოძრაობით, ინტონაციით, როგორი დამოკიდებულება არსებობს სიტყვასა და ჟესტს, მიმიკას შორის, კარგად მიგნებული დეტალები თუ როგორ გვეხმარება ნაწარმოების მხატვრული ჩანაფიქრის ამოცნობაში. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი „ავტორის სახეში" მთლიანდება და ქმნის განუმეორებელ ინდივიდუალობას, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მხატვრული სამყარო ჰქვია.

როგორც აღნიშნულია ლიტერატურათმცოდნეობაში პერსონაჟის ხატვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია სხეულისა და სულის, შინაგანი სამყაროსა და გარეგნული ქცევა-მოქმედების ანუ სიტყვისა და ჟესტის ურთიერთდამოკიდებულების ჰარმონიულობის თუ კონფლიქტის ჩვენება მის მრავალფეროვან გამოვლინებაში. ეს საშუალებას აძლევს მწერალს ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსებით, ნახევარტონებით აღბეჭდოს პერსონაჟის სახე. ილია რომ სახისმეტყველების ამ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევდა, კარგად ჩანს იმ შენიშვნიდან, რომელსაც მწერალი ერთ-ერთი თეატრალური დადგმის შესახებ გამოთქვამს: „ევროპეთწოდებული „მიმიკა" სახსარია მხოლოდ სიტყვით გამოთქმული აზრის შემავსებელი, ანუ ცალკე აზრის მოძრაობით გამოხატვისა. იმისთანა აზრისა, რომლის გამოთქმაც „მიმიკით" უფრო მკაფიო და მჭრელია ვიდრე სიტყვითა". მაგალითად, ისეთი ნაწარმოები როგორიცაა „მგზავრის წერილები" (იგულისხმება მწერლის სამოქმედო პროგრამის გადმოცემა, ეროვნული და მოქალაქეობრივი მოტივების წინ წამოწევა და ა.შ.) საოცრად მეტყველი დიალოგებით, პერსონაჟის მოძრაობით, ქცევით, მიმიკით არის აგებული.

რუსი ოფიცრის მოქმედება მიმიკა უფრო მკაფიოდ გამოკვეთს მის მიერ გამოთქმულ ბრიყვულ აზრებს, კიდევ უფრო დინამიკურს და სახასიათო შტრიხებით აღბეჭდილს ხდის სიტყვას.

ოფიცერს თავდაპირველად ეგონა რია პეტერბურგიდან ჩამოსული კაცის სტუმრობა. იგი გარეგნულად იცავს მისალმებისა და მოკითხვის გარკვეულ ეტიკეტს. სულ სხვა ჟესტი და მიმიკა ჩნდება რუსი ოფიცრის მოძრაობაში, როცა დაიჯერებს, რომ მის წინაშე სომხის სოვდაგრის დახლიდარია:

„ — დიხლიდარი!... თქვა და ტუჩები აიპრიხა.

— დიახ, ბატონო.

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა მყისვე ლიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველი მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

— საიდან მოდიხა-ა-რთ? — მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაც".

როგორც ხედავთ ოფიცრის ეს „გარდაქმნა" უფრო დახატულია არა მის რეპლიკებში, არამედ მოძრაობა-მოქმედების და გამომეტყველების შეცვლით. დიალოგს უკვე მიმიკის ენა აძლევს ნამდვილ ახსნას. თუ პირველი შეკითხვა ამაღლებული ტონით იყო დასმული („საიდამ მობრძანდებით?") იმავე შეკითხვის ტონის რეგისტრი მეორე შემთხვევაში დაბალია („საიდამ მოდიხა-ა-რთ?"). შესაბამისად განსხვავებულია ინტონაციაც. როგორც ვხედავთ პერსონაჟის სულიერი სამყარო ილიას ფაქიზი ფსიქოლოგიური და მხატვრული ოსტატობით აქვს დახატული.

ლევ ტოლსტოიზე წერენ, რომ იგი სიტყვებით აღწერს არა თავისთავად ღიმილს, არამედ მის შინაარს, მის ფსიქოლოგიურ ეკვივალენტს. ასევეა ილიასთან. მწერალი პერსონაჟის სულიერ განცდებს (ტკივილს, ტირილს, სიხარულს და ა.შ.) ერთმნიშვნელოვანი სიტყვით კი არ გადმოცემს, არამედ მოქმედება-



მოძრაობით, მიმიკისა და ჟესტის ენით მათ შინაარსზე გვიყვება, რითაც იქმნება მაღალმხატვრული ეფექტი და ესა თუ ის პერსონაჟი სამუდამოდ ამახსოვრდება მკითხველს.ილია ერთგან წერს: „ადამიანების ბუნება არის აღურაცხველად მრავალნაირი, განსხვავებული და წარმოადგენს უზომოდ გრძელ კიბეს მრავლისაგან უმრავლესი საფეხურებით". მწერალი ამ „აღურაცხველად მრავალნაირ და განსხვავებულ" შინაგან ბუნებას ავტორისეული რემარკების, საკუთრივ თხრობის, დახასიათების, დიალოგში გადმოცემული რეპლიკების გარდა სწორედ მოძრაობით, მიმიკით, ჟესტის ენით გვიხატავს, სადაც სიტყვები კარგავენ თავის პირდაპირ მნიშვნელობას და გადმოსაცემი სათქმელი მხოლოდ მოძრაობის ხატის კონტექსტით გაიაზრება. განუმეორებელია ამ კუთხით ოთარაანთ ქვრივის სახეარჩილთან და კესოსთან მიმავალ გიორგის დედა თვალს ადევნებს: „ფეხთმდგომელს ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოევარდა დაძბლასავით, თითქოს კისრის ძარღვი გაუწყდაო. ველარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენადღა დაეკიდაო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნაღველსაც უკან არ იხედებს...

განა აქ არა დარჩენილა! სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი აქ არის, სულ ყველაფერი!.. — დაიკვნესა დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმული სახელოთი მოისო თვალებზედ. თვითონაც არ იცოდა რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდველად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითონ ხელი არ დაეკითხა გულს — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო".

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა (გვ.483-4). ამ მეტყველ სცენაში პერსონაჟის სულიერი დაძაბულობა, ყველაზე მეტად, თვალთან მიტანილმა ხელის უნებლიე მოძრაობამ გაგვიმჟღავნა. ქვრივის ხასიათიდან გამომდინარე მას თვალში ცრემლი არ უჩანს, მაგრამ შვილზე უზომოდ შეყვარებული დედა სულიან-ხორციანადაა შეძრული. მისი ჟესტი თავის ენაზე გარდასახავს, გარეთ გამოიტანს დედის შინაგან ხმას, თუმცა ამ უკანასკნელს ბევრად აჭარბებს და უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე ამ შემთხვევაში სიტყვას შეუძლია. ეს გაორება, ორი გრძნობის ჭიდილი, როცა ხელი არ დაეკითხა გულს არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო — ოთარაანთ ქვრივს, სხვებისთვის შეუვალ პიროვნებას, უაღრესად ფაქიზი ბუნების და ტრაგიკული განცდებით სავსე ადამიანად წარმოგვიჩენს.

როდესაც ერთმანეთისაგან ანსხვავებენ ვოლტერისა და შექსპირის შემოქმედებით თავისებურებებს, წერენ: ვოლტერი ამბობს „მე ვტირი", შექსპირი კი „ტირის". ზემოთ მოტანილ სცენაში სწორედ შექსპირული წარმოსახვის მონათესავე ვითარებასთან გვაქვს საქმე. ილია მოქმედება-მოძრაობით ხატავს, მხვრითი ხატის საშუალებით გვიჩვენებს პერსონაჟის მძაფრი ემოციური განცდების შინაარსს და არ გვიყვება ამ ემოციებზე, ამ შემთხვევაში „ტირილზე".

ილია ჭავჭავაძე მხატვრული დეტალის შექმნის დიდოსტატია.

განვიხილოთ ამ კუთხით „მგზავრის წერილებში" ლელთ ღუნიასთან საუბრის ეპიზოდი.

მთხრობელსა და ლელთ ღუნიას შორის მეტად მწვავე საკითხებზეა საუბარი. დიალოგი თავიდანვე კითხვა-პასუხის ტიპისაა. სცენის შინაგანი დაძაბულობა მოხევის რეპლიკებით უფრო იქმნება, მთხრობელს კი დასაწყისში ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. იგი შემდეგ თანდათანობით თავისი რეპლიკებით დიალოგში გამოიწვევს, პროვოცირებას მოუწყობს ქვეყნისათვის ყურმადევარ მოხევეს. სოსცარი მხატვრული დეტალით ანათებს ილია ამ ეპიზოდს. საუბრისას მოულოდნელად მოხევეს თოკის უზანგი გაუწყდება, თავს ვერ დაიმაგრებს და ცხენს გვერდზე მოექცევა. „მერე ისევ გასწორდა — წერს ავტორი — ჩამოხტა ცხენიდან და დაიწყო უზანგის გამართვა. — საჭირბოროტოა შეკაზმულ ცხენ — წამოიძახა ღიმილით მოხევემ — დაილოც შიშველ ცხენ: ფეხს გადავწვდიდი და გადავჯდიდი". ეს შემთხვევა დიალოგს დროებით წყვეტს, რომელიც შემდეგ ისევ გრძელდება, მაგრამ ვფიქრობთ ეს მხატვრული დეტალი ლელთ ღუნიასთან საუბრის მთელ სცენას მიემართება. ილიას პროზის სახისმეტყველება საოცრად ტევადია. აქ მწერალი სრულიად ახალ კუთხეს უძებნის სათქმელს. ის, რაც სიტყვით ითქვა — თავისუფლების დაკარგვაზე, ეროვნულ სატკივარზე, ამაღლებული, ზნეობრივი საწყისების მოშლა-გადაგვარებაზე — მხატვრული დეტალის დონეზე გაწყვეტილი თოკის უზანგის სიმბოლოში აირეკლება. ხოლო მოხევეს რომ შეკაზმულ, „საჭირბოროტო ცხენს შიშველი ცხენი ურჩევნია", ამ დეტალის კონტექსტი მთელი დიალოგის ფონზე გაიაზრება. ილია გამოსახვის სხვადასხვა გზით ერთ სათქმელს გვეუბნება, რომ თავისუფლება, უცხო ადათ-წესებით შეუბოჭაობა ყველაფერზე მაღლა დგას ამ ქვეყნად და იგი ადამიანის არსებობის უზენაესი მიზანია.

სწორედ ასე ვლინდება ილიას მხატვრულ პროზაში იდეების გადმოცემისა და მოქმედება-მოძრაობით, ჟესტით, მიმიკით, დეტალის ხატვის ურთიერთმიმართების განსაკუთრებული ჰარმონიულობა და სილამაზე.

ილია ჭავჭავაძე არ არის ის მწერალი, რომ ტექსტის კომპოზიციაში, სიუჟეტის განვითარებაში რომელიმე ზედმეტი ეპიზოდი შემოიტანოს. იგი ყველა დეტალს, ნიუანსს, პერსონაჟის უმცირეს მოძრაობა-მოქმედებასაც კი ერთიან მხატვრულ ჩანაფიქრს უქვემდებარებს, ამოუცნობის შეცნობას უსაძირკვლებს. ამიტომაც არ გვეჩვენება შემთხვევითად, როდესაც ოთარაანთ ქვრივის ქმართან წარმო-

სახვით საუბარში ურმის ჭალზე დაცემით სიკვდილის ავბედითი ლანდი გაიელვებს და მერე გაქრება, რომ სულ მალე ისევ მობრუნდეს და ტრაგედია დაატრიალოს; სოსია მეწისქვილის მიუწვდენელი ოცნებით, ცხოვრების უცოლოდ და გაუხარებლად გადავებას კი ვარსკვლავის ცაში მიწვდენისას სიკვდილის მშვენიერება უპირისპირდება. ასე, რომ ილიას პროზის სახისმეტყველებაში ყველა ეპიზოდი, დეტალი, პერსონაჟი ერთმანეთში ირეკლება, რათა ერთმა მეორე უკეთესად დაგვანახოს, ახალი სამზერი გაუხსნას ჩვენს წარმოსახვასა და ფანტაზიას. ავილოთ თუნდაც „ოთარაანთ ქვრივის" შესანიშნავი მონაკვეთი „ეძახის".

ძილდაკარგულ სნეულ დედას ეჩვენება, რომ გარდაცვლილი შვილი ეძახის. იგი საფლავთან მიდის.

„ეზოს კარიდან რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი თქვა:

— ჰერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანთა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი, კიდევ (მეძახის ო.გ.)...

მოვდივარ, მო...!"

შვილის საფლავისაკენ მიმავალი დედის გზა შემთხვევით არ არის ქათქათა და შეუმღვრეველი. ამ გზაზე სოსია მეწისქვილესავით ყველა ზედმეტია, აქ არავის ადგილი არ არის, გარდა დედის უსაზღვრო, სამყაროსავით უკიდეგანო სევდისა და მწუხარებისა. სხვისი ფეხი უწმინდური და ცოდვილია, რამეთუ ადამიანი სამოთხიდან განდევნის შემდგომ ცოდვის ტვირთს ატარებს. მხოლოდ გოლგოთისაკენ მიმავალი გზა არის ცოდვის გამოსყიდვის გზა და ამ შემთხვევაში ოთარაანთ ქვრივის გოლგოთა მისი, სპეტაკი თოვლივით უცოდველი, ერთადერთი შვილის გიორგის საფლავია, და დედაც ამ გოლგოთისაკენ მიემართება.

ამგვარ სცენებსა და დეტალებში, გამოსახვის ასეთნაირი სტილური მანერა მწერლისა თავისთავად გულისხმობს მკითხველის აქტიურ თანაშემოქმედებას. ყაზბეგის ერთი მოთხრობის კრიტიკული შენიშვნების კონსპექტში ილია წერს: „მანერა კარგია, როცა ეპიზოდია აღწერილი და ეპიზოდის ახსნას ავტორი მკითხველს უთმობს". სწორედ ეს მომენტია გასათვალისწინებელი ზემოთ მოტანილი მხატვრული სცენის გახსნისას.

ილია ჭავჭავაძე დიალოგის შექმნის დიდოსტატია. იგი, როგორც უკვე ითქვა, პერსონაჟს ხატავს არა მხოლოდ ჟესტით, მიმიკით, მოძრაობით, არამედ მის სულიერ განცდებს გარკვეული პოზიციებისა და თვალსაზრისთა ჭიდილით წარმოგვიდგენს. ხშირია, როცა პერსონაჟის რეპლიკაში ორი ხმა ისმის, ორი პოზიციაა გამოკვეთილი. ერთი, რომელიც პირდაპირ გვეუბნება სათქმელს და მეორე, რომელიც დაფარულია, მაგრამ საქმის რეალურ ვითარებას წარმოაჩენს, სავნებსა და მოვლენებს თავის სახელს არქმევს. დიალოგის ხატვის ამგვარი ხერხი გრაფიკულად კარგად ჩანს ილიას პიესაში „მაჭანკალი". ხორეშანისა და ლუარსაბის დიალოგში ხორეშანის რეპლიკები ერთი მხრივ ლუარსაბის სიტყვების პასუხია, ხოლო მეორეს მხრივ, მაყურებლის გასაგონად მიმართულ სიტყვაში ვგებულობთ თუ ნამდვილად რას ფიქრობს მაჭანკალი.

„ლუარსაბი — სახელოვანო! სახელოვანი ვის ეკადრება? სმაში კოპიტიშვილია, აი, ფალავანი.

„ხორეშანი — საპყარანია, შენ ნუ მომიკვდები, საპყარანი (პეპლიკისაკენ) ეს რა ჭირს გადავეკიდე, თქვენი ჭირიმეთ.

ლუარსაბი — ღამსვეს და თან მეუბნებიან: აბა შენ იცი, როგორ გაუძლებიო, სახელი თუ გინდა, სახელიც ეგ იქნებაო...

ხორეშანი — დიდი [illegible] ყოფილა თქვენგან, შენ ნუ მომიკვდები ჩემს თავს. (პეპლიკისაკენ) ჭკუა გამიწყალა.

ლუარსაბი — მითამ რატომაო? — ჩემის თავის იმედი რომ არა მქონოდა...

ხორეშანი — ო, ო, იმედი გაბედულების ნიშანდურია, მართალს ბრძანებთ (პეპლიკისაკენ) მე რის დარდი მაქვს და ეს რას მაროტვინებს..."

ორი პოზიციის, ორი თვალსაზრისის ასეთი შემოტანა დიალოგში კარგად ჩანს აგრეთვე „კაცია-ადამიანის?!" იმ მონაკვეთში, როდესაც თათქარიძე გლეხებს ჯალოს სამკუთელი ორმოს ნამდვილად არსებობის შესახებ ეკითხება. როგორც დასაწყისში ვთქვით, შეგნებულად არაფერს ვამბობთ ილიას მოთხრობების იდეურ-თემატიკურ შინაარსზე, მისი მოქმედების ძირითად მოტივებზე.

ჩვენი მოკრძალებული მიზანი იყო გვეჩვენებინა ილიას სახისმეტყველების, ანუ მხატვრული ოსტატობის, ის ზოგიერთი თავისებურება, რითაც დიდი მწერლისა და მოაზროვნის სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებანი, ეროვნულ-მოქალაქეობრივი სულისკვეთება ხორცს ისხამს, ცოცხლდება და ჭეშმარიტი მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალით ეხმაურება ჩვენს თანამედროვე ეპოქას.

## ახალი წიგნები

რევაზ ბარამიძე

*წინ, ილიასაკენ!*

თეონა გოგოლაშვილი

**ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა ჭანტურაია

# ვაჟას მხატვრული ენის თავისებურებანი



### მეტაფორა

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ თავისებურებებზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს თავისებურებანი, უპირველეს ყოვლისა, ენობრივ საშუალებათა მიზანმიმართულ გამოყენებაში ვლინდება. ფშაური მეტყველების ბევრი საინტერესო ფორმა, ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფის აუარებელი დეტალი, ამ კუთხის ონომასტიკისა და ლექსიკის უამრავი ნიმუში გამოამზეურა და სამარადისოდ დააფიქსირა ვაჟამ თავის უკვდავ ლექსებსა და პოემებში. ეს კი უძვირფასესი მასალაა ფშავ-ხევსურული კილოს არა მარტო ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური, არამედ მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების შესწავლისათვის. ენობრივ საშუალებათაგან ვაჟამ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი დაუთმო მეტაფორათა შერჩევასა და მათ გამოყენებას. ეს ბუნებრივია, რადგან მეტაფორა ენობრივ-მხატვრული წარმოსახვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საშუალებაა და ვაჟას, როგორც პოეტური სახეებით უდიდეს მოაზროვნეს, ფართო ასპარეზს უშლის.

ვაჟას უპირველესი დამსახურება ის არის, რომ მან ბევრი სრულიად ახალი მეტაფორა შექმნა. არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის მეტაფორა გამეორებათა გამო კარგავს ხოლმე თავდაპირველ ცხოველმყოფელობას და ფერნაქცევი ხდება. შემოქმედს კი შესწევს უნარი, ეს, თუ შეიძლება ითქვას, ყავლგასული მეტაფორა ახალი ძალით გამოაბრწყინოს, რასაც მრავალგვარი პოეტური ხერხით ახორციელებს. ამას ვაჟა სხვა საშუალებებთან ერთად დიალექტიზმითაც ახდენს. მაგრამ არა მხოლოდ, როგორც იტყვიან, წმინდა წყლის დიალექტიზმით. მეტაფორათა შესაქმნელად ვაჟა ასევე იყენებს ფშავ-ხევსურთა თავისებური ნიუანსის შემცველ ბევრ ისეთ გამოთქმას, მთის მკვიდრთა მეტყველების მრავალ ისეთ ფორმას, რომელიც აშკარად ხალხის სასაუბრო ენიდან მომდინარეობს, მაგრამ თავისი არსით არ არის დიალექტური. აი, ამ საშუალებებით აღწევს ვაჟა უიშვიათეს ფიგურალურ გამომსახველობას, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, მეტაფორას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს.

უყოყმანოდ უნდა ითქვას, რომ რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში არავის გამოუყენებია იმდენი მეტაფორა, რამდენიც ვაჟას. ეს ვაჟას ერთ-ერთი უმთავრესი სტილური თავისებურება გახლავთ, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ვაჟას სტილია არა მეტაფორების ხშირი გამოყენება, არამედ პოეტის შემოქმედებით ქურაში გამოკვე-რილ მეტაფორათა ხასიათი, მათი ბუნება.

ვაჟას შემოქმედებისათვის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ნაწარმოებებში დიალექტიზმები და მათთან ახლოს მდგომი ფშავ-ხევსურთა მეტყველების თავისებური მიმოხვრანი დიდი გამომსახველობითაა მეტაფორიზებული. აქ მოულოდნელი არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვაჟასთვის ხალხური მეტყველებიდან მომდინარე სიტყვები, რომელთა ერთი ნაწილი განსაკუთრებული აზრის მქონე სიმბოლურ ცნებებად წარმოდგებიან, საგანგებო შინაარსის შემცველნი არიან და თანამედროვე გააზრებით გამოირჩევიან. ვაჟასთან, როგორც გრიგოლ კიკნაძე წერს, „მეტაფორიზაცია ხშირად სიმბოლურია თავისი შინაარსით" (გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიის და ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ.117). მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ვაჟას მიმართ „სიმბოლოების", უფრო ზუსტად, „სიმბოლური ცნებების" ხმარების დროს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, რადგან პოეტის შემოქმედების განხილვისას სწორედ ამან გამოიწვია ზოგიერთი მკვლევრის გადაცდენა სწორი გზიდან, რასაც შედეგად მოჰყვა

ვაჟას შერაცხვა სიმბოლისტ პოეტად. შეცდომის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ ვაჟას მიერ გამოყენებული ალეგორიები ანუ ობიექტური შინაარსის გამომხატველი სიმბოლოები მკვლევართა ერთმა ნაწილმა (კ. აბაშიძე, ივ. გომართელი, ალ. ხახანაშვილი და სხვ.) სუბიექტურ სიმბოლოებად, ასახვის სუბიექტურ ფორმებად მიიჩნია, რომლებშიც თითქოსდა გაცხადდა ვაჟას მსოფლმხედველობა. გამოდიოდა, რომ ვაჟა აღიარებდა იმას, რაც მისი ბუნებისათვის სრულიად შეუფერებელი, სრულიად საწინააღმდეგო იყო — სინამდვილისაგან, ე.ი. ობიექტური სამყაროსაგან აბსოლუტურ მოწყვეტას და მისტიციზმთან კავშირს, ასევე ხალხურობისაგან განდგომას. ვაჟას მხატვრული, უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, მეტაფორული აზროვნების უნარს ზემოჩამოთვლილი მკვლევრები პოეტის სიმბოლისტობით ხსნიდნენ. რადგან ვაჟას შემოქმედებითი თვალსაზრისის, ამასთანავე, მისი მხატვრული პროდუქციის თავისებურებების არასწორი შეფასებიდან გამომდინარე, მიიჩნევდნენ, რომ ვაჟას გააჩნდა პირველყოფილი სიმბოლიზმის ტენდენციები. ისინი ვაჟას მეტაფორიზაციის უნარს ისე განმარტავდნენ, როგორც სიმბოლისტური მსოფლმხედველობისა და სიმბოლისტური წერის მანერის თავისებურებათა გამოვლინებას, რაც მკვლევრებს იქითკენ უბიძგებდა, რომ მისთვის მცდარი ინტერპრეტაცია მიეცათ. ეს აბსურდული მოსაზრება უაღრესად დამაჯერებელი არგუმენტებით გააქარწყლა გრ. კიკნაძემ და აშკარად დაასაბუთა, რომ ის, რაც ვაჟასთან სიმბოლისტურად იყო მიჩნეული, სინამდვილეში რეალისტი მწერლის თავისებური მხატვრული ხერხი, წერის თავისებური მანერაა (გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1989, გვ. 197-215). ეს მოსაზრება ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა და განავითარა, რომელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა: „ვაჟა არის განსახიერება რეალისტი მწერლისა, რომლის ერთ-ერთი თავისებურება მეტაფორიზაციის არაჩვეულებრივ ნიჭში მდგომარეობს“ (ჯ. ჭუმბურიძე, „ვაჟა-ფშაველა რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში“, წიგნში: ვაჟას კრებული, ტ.I, თბ., 1970, გვ.11).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით უნდა განვაცხადოთ, რომ სწორედ მეტაფორიზაცია განსაზღვრავს ვაჟას რეალისტურ მიმართულებას, განაპირობებს რეალიზმის ტენდენციას პოეტის შემოქმედებაში. როგორც მიუთითებენ, ვაჟას პოეზია „საგნების პოეზიაა“. „ვაჟას შემოქმედებაში ადამიანის პირდაპირ დადგა საგანი. ეს ჩანს მისი შედარებებიდან და მეტაფორებიდან. ვაჟა შედარებათა დიდი ოსტატია, მაგრამ მისი მეტაფორები შეუდარებელია“ (გრ.კიკნაძე, იქვე, გვ. 212). ვაჟას თითქმის ყველა მეტაფორა გამოირჩევა თავისებური ახლებური გააზრებით. ახლებურით, ვამბობთ, რადგან იგი ლიტერატურაში ვაჟამ დაამკვიდრა, თორემ შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი ძველი დროიდან მომდინარეობდეს და ხალხის წიაღში იყოს ნაშობი. მსგავსი ხალხური გამოთქმები ვაჟასთან ხშირად მეტაფორის შექმნის წყარო ხდება. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ „გოგოთურ და აფშინაში“ გამოყენებული სიტყვა „წვერმოტეხილი“, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეტაფორაცაა და ეპითეტიც. სიტყვა „წვერმოტეხილი“ იმ საგანს გამოხატავს, რასაც წვერი აქვს მოტეხილი და ამ მხრივ ფრაზაში მისი გამოყენება, ცხადია, არავითარ ნოვატორობას არ წარმოადგენს, რადგან ჩვეულებრივი ლოგიკური განსაზღვრებაა, ისეთი ფაქტის უბრალო კონსტატაციაა, რაც არაფრით არაა გამორჩეული. მაგრამ ვაჟამ ეს სიტყვა სულ სხვა, მისთვის სრულიად შეუფერებელ საგანზე გადაიტანა, სხვა ემოციური შინაარსით დატვირთა და უიშვიათეს მეტაფორად გადააქცია, რითაც ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა წარმოსახვის უნარის უკიდეგანობა:

რა ვქნა, — ამოთქვა აფშინამ
წვერმოტეხილის ენითა.

ცხადია, რომელიმე ნივთი, რასაც წვერი აქვს მოტეხილი (ვთქვათ, კალამი) და ამ ნივთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ფენომენი — ენა, რომელსაც ასევე „წვერი აქვს მოტეხილი“, სრულიად განსხვავებულ განცდას იწვევს მკითხველში, რადგან მიუხედავად ერთი და იმავე სიტყვისა („წვერმოტეხილი“), მათ შორის არანაირი კავშირი არ არის და არც ხერხდება რაიმე კავშირის დამყარება. აქედან გამომდინარე ემოციაც სრულიად განსხვავებულია.

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე „ალუდა ქეთელაურში“, სადაც ვაჟა ახსენებს „ქარიან ენას“. ქარიანი შეიძლება ამინდი იყოს, მაგრამ არა ენა. ვაჟა კი მინდიას ათქმევინებს:

ნუ იტყვი ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ქარიანი ენა“ ასეა ახსნილი: დაუფიქრებელის მთქმელი (ენა) და საილუსტრაციოდ ვაჟას სწორედ ეს სტრიქონებია მოტანილი. ვფიქრობთ, ლექსიკონის შემდგენლებს საქართველოს სხვა მხარის წარმომადგენლის ნაწარმოებიდან მაგალითის დამოწმება გაუჭირდებოდათ, რადგან ეს გამოთქმა ვაჟასა და მისი კუთხის მკვიდრთა კუთვნილებაა.

ასეთივეა გამოთქმა: „ენა ქარქაშში გვჭიროთ“ ცხადია ქარქაში ხმლის ბუდეა და არა ენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟასთან კი აზრის ასე გამოხატვა სრულიად ბუნებრივად ჟღერს.

აი, ასეთი გამოთქმებია ვაჟას პოეტური ენისათვის ნიშანდობლივი, რასაც პირობითად ენის „ხორკლიანობას“ უწოდებენ. ეს „ხორკლიანობა“ ხშირ შემთხვევაში ფშაველთა სასაუბრო მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი და ვაჟაც, როგორც მთიელთა სიტყვიერ გარემოში აღზრდილი შემოქმედი, ბუნებრივია, ამ ენობრივ თავისებურებათა გამომხატველია.

ლექსში „არწივი და კაკაბი“ ვაჟა მთელი სიდიადით გვიხატავს არწივს და ისეთი მხატვრული სახით წარმოგვიდგენს ფრინველთა მეფეს, რომ მის მიმართ აშკარა სიამაყის გრძნობა ეუფლება მკითხველს:

**არწივი ცის მკერდს გაეკრა,**
**ფართუაშობს, როგორც მაყარი,**
**ცას უპოხს გამხმარ გულ-მკერდსა**
**ხამუშად მისი ყარყარი.**

როგორც ვხედავთ, ამ სტროფის ყველა ტაეპი მეტაფორულია, რომლებშიც ვაჟასეული გასაოცარი სახეობრიობაა გამოვლენილი. აქ ყურადღებას იპყრობს ორი არალიტერატურული სიტყვა „ფართუაში“ (იგივე „პარპაში“) და „ყარყარი“ (იგივე „ყამყამი“). აღსანიშნავია, რომ „ფართუაშობს, როგორც მაყარი“ ავტოგრაფში ვაჟას მოგვიანებით ჩაუწერია. ადრე კი ყოფილა: „ვით თავმომწონე მაყარი“. სტროფში განსაკუთრებით საყურადღებოა სტრიქონი: „ცას უპოხს გამხმარ გულ-მკერდსა“, რომელიც ხალხური ელფერით აღბეჭდილ ზემოხსენებულ სიტყვათა შორისაა მოქცეული და თავისებურ მთლიან გამას ქმნის. სიტყვა „უპოხს“ ნორმირებულ წინადადებაში ცხიმის წასმას, გაქონვას ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტაფორადაა ქცეული, რადგან იგი რაღაც სრულიად განსხვავებულს გამოხატავს. ჩვენ თუ ვიტყვით: „მეურმე პოხავს ურმის ღერძს“, ეს პირდაპირი მნიშვნელობის, ლოგიკური შინაარსის გამომხატველი წინადადება იქნება, მაგრამ ზემომოტანილ სტრიქონში იგი გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და სიტყვის სემანტიკურ შეუსაბამობაზე მიუთითებს, სწორედ ეს შეუსაბამობა წარმოგვიდგება როგორც მეტაფორა, რომელიც არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისებური გამოცანაა“ (არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1979, გვ. 194).

ლექსში „არწივი და ყვავი“ ვაჟა მიმართავს ფშაურ სიტყვას „ღარადელას“, რაც მძივის, ყვავილის, ხილის, ჩირისა და მისთანათა ასხმულას, აცმას ნიშნავს. აი, ამ სიტყვით ქმნის ვაჟა წარმტაც მეტაფორულ სურათს:

**გაზაფხულია. მოფრინვენ**
**სათვები და წეროני,**
**ცას ღარადელად აესხნენ**
**დიდრონნი, გასაშტერონი.**

აშკარაა, თუ რა მწვერვალს აღწევს ამ სტროფში ვაჟას მეტაფორული სახეობრივი აზროვნება, რა დაუვიწყარია ის ფერწერული სურათი, რაც ამ მეტაფორის მეშვეობითაა შექმნილი.

ვაჟა ხშირად იყენებს მეტაფორებს, რომლებსაც საგნობრივ-ნივთობრივს უწოდებენ, ე. ი. ისეთ მეტაფორებს, რომლებშიც თავიანთი ნიშანთვისებით, — ცხადია, პირობითად: — ორი საგანია ერთმანეთს გატოლებული ანუ ორივე კომპონენტი საგნობრივ-ნივთობრივია. ასეთია ფშავ-ხევსურული ლექსიკით წარმოდგენილი შემდეგი მეტაფორა:

**ვინ თქვა დღე-დასაბნელებმა,**
**ვითომ ტრელია შიშნია?**
**მთქმელი ძაღლია მედუმლე.**

„ტრელი“, ვაჟას განმარტებით, ხევსურული გამოთქმაა და „მშიშარას“ ნიშნავს, ხოლო ფშაური სიტყვა „მედუმლე“ ძაღლია, რომელიც იდუმალ, მიპარვით ჰკბენს ადამიანს. ეს ბოლო სიტყვა დამოწმებული აქვთ ი. ქეშიკაშვილს და ა. ჭინჭარაულს, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი არ არის შეტანილი, არადა, სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვას შესატყვისი არ მოეპოვება და მისი შემოტანა უთუოდ გაზრდიდა ენის ლექსიკურ ფონდს, უფრო დინამიკურს, უფრო ტევადს გახდიდა სალიტერატურო ენას.

საგნობრივ-ნივთობრივია აგრეთვე ლექსში „ერთხელაც იქნება მოვკვდები“ გამოყენებული მეტაფორა:

**ტყუილად აშფოთდებიან**
**ჩემნი წაწალნი იანი.**

როგორც ვხედავთ, აქ იები ლირიკული გმირის წაწლებად, ე.ი. სულიერ მეგობრებად, საყვარელ არსებებად არიან გამოყვანილი, რითაც ვაჟამ უკიდურესად სათუთი, უაღრესად ინტიმური განწყობილება შექმნა.

კუთხური ელფერი დაჰკრავს საგნობრივ-ნივთობრივ მეტაფორებს, რომლებიც გამოირჩევიან გამოთქმის ვაჟასეული მანერით, თხრობის ინდივიდუალური თავისებურებით:

სისხლი გვიდუის ძარღვებში,
სისხლი ლაშქრობას ჩვეული.
(„ომის წინ ჯარის სიმღერა“)
ახლებო, სისხლი გიდუისთ,
სჭრითა და ჰკერავთ გულითა.
(„ალუდა ქეთელაური“)
საცაა, თოფი იჭექებს,
კვამლი წაჯდება კვამლზედა...
(„ხმა სამარიდამ“)

**იწვება ჩვენი ქალაქი,**
**ალი შემჯდარა ალზედა.**
(„1795 წლის სახსოვრად")

**ცას არ გაუხსნავ გულ-მკერდი,**
**შაკრული ცეცხლის ღილითა.**
(„ეთერი")

**/დიაცს/ ვინ იცის, ვინ უკერია**
**მკერდზე პერანგის ღილადა.**
(„ქებათა-ქება")

**ჩემფერა უკეთურები**
**ყუნწები ბევრი ჰხირია.**
(„ბახტრიონი")

ვაჟასეული თხრობის ელფერითაა აღბეჭდილი საგნობრივ-ფსიქიკური მეტაფორები, რომელთა ერთი შემადგენელი ნაწილი საგნობრივია, ხოლო მეორე ფსიქიკური:

**გული გავლესოთ გრძნობითა.**
(„ომის წინ ჯარის სიმღერა")

**ობლობის, ბეჩაობისა**
**დღესაც ზედ მაძე ობია.**
(„ბახტრიონი")

**კაცნო, რას ამბობთ, ნეტარა,**
**რად ჰგრეხთ დიაცებრ ჭორებსა?**
(„ბახტრიონი")

**მაგათ სიწუნტის ნაღველი**
**ყელში დუღილით ამოდის.**
(„ბახტრიონი")

**ჩაიცვეს წყევის სუდარა**
**მთელმა ჩერქეზთა მხარემა.**
(„სისხლის ძიება")

და მრავალი სხვა.

როგორც დავინახეთ, არცერთ ამ მეტაფორას ხელოვნურობის ნიშან-წყალი არ ამჩნევია, რადგან, როგორც გრ. კიკნაძე აღნიშნავს, „მეტაფორათა სრულიად დაუძაბავი, თავისუფალი დინება შეპირობებულია ვაჟას მთელი შემოქმედების ხალხურობით, კერძოდ, იმით, რომ მისი მეტაფორები სისხლხორცეულად თავსდებიან ხალხურ მეტაფორათა წიაღში" (გრ. კიკნაძე. „მეტაფორა". წიგნში: ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი"; თბ., 1972, გვ. 169).

იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება, ხელშესახებად წარმოგვიდგინოს პერსონაჟი, რაც შეიძლება მეტი ინდივიდუალობა მიანიჭოს მას, ვაჟა ხშირად მიმართავს შედარებასთან შენივთებულ მეტაფორას. ეს, თუ შეიძლება ითქვას, მეტაფორული შედარებაა. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ქვემომოტანილ სტრიქონებში:

**აზრი, ვით ხარი მანძილა**
**იარებოდა დინჯადა.**
(„აზრი და გრძნობა").

„მანძილა" ხევსურულ დიალექტში დიდტანიანი და ღონიერი ბებერი შინაური ხარის, ასევე ხარირემისა და ხარჯიხვის ეპითეტია. როგორც ვთქვით, ვაჟამ ეს სიტყვა აზრთან შესადარებლად გამოიყენა.

აი, კიდევ მაგალითი:

**(ჩალხია) რძით ნაზელს, კირით ნაგებსა**
**კოშკსა ჰგავს გოხით ნაქოლი.**
(„ჭირისუფალი")

მაშასადამე, ჩალხია „გოხით" („რიყის ქვით") „ნაქოლია" („აშენებულია"), რომელიც კოშკს ემსგავსება. აქ ვაჟამ პოეტური სახის შესაქმნელად ორი იშვიათი სიტყვა („გოხი" და „ნაქოლი") იხმარა და მათი მეშვეობით თვალდასანახავად წარმოგვიდგინა გაუტეხელი ხასიათის თავისი გმირი.

შედარება და მეტაფორა ერთმანეთზეა გადაწნული ვაჟას ცნობილ ლექსში „სიმღერა" („ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს"), რომელშიც გამოყენებულია ვაჟას მიერ ახსნილი ფშაური სიტყვა „ჩხვერა" („რქენა"):

**ხარს ვგავარ ნაიალალარს,**
**რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.**

ეს სიტყვა ვაჟას ნახმარი აქვს ლექსში „ხარისთვის უდიერი": გლეხკაცი, რომელიც ხარებს სააქაოს უდიერად ეპყრობოდა, საიქიოში „ხარის ჩხვერისაგან დღეებს ჩამოჰლევს შავადა".

ასევე ერთმანეთთანაა შესისხლხორცებული შედარება და მეტაფორა სტრიქონში, რომელშიც გამოყენებულია დიალექტიზმი „ბრჯღალი". აქ მტაცებელი ფრინველისა თუ ცხოველის საარსებო იარაღი ბრჭყალი ლირიკული გმირის მიმართაა ნახმარი, რის მეშვეობითაც ვაჟა მიმზიდველ სახეს ქმნის:

**ბრჯღალით ვუპყრივარ სევდასა,**
**როგორაც არწივს გნოლია.**
(„სიმღერა")

ამრიგად, როგორც ამ წერილში დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, ვაჟამ დიალექტიზმებით და ფშავ-ხევსურთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმებით ნაგები მეტაფორებით მიაღწია უდიდეს გამომხატველობასა და თვითმყოფადობას. ერთხელ კიდევ აშკარად გაცხადდა, მეტაფორული აზროვნებითაც როგორ გამოამჟღავნა მან თავისი მხატვრული პოზიცია, თავისი სტილური თავისებურება, და, აქედან გამომდინარე, თავისი ნიჭის უსასრულობა, როგორ ფართოდ გაუღო კარი ფშავ-ხევსურულ კილოში ძველი დროიდან დამკვიდრებულ გამოთქმებს, რომელთა ერთი ნაწილი მეტაფორულია თავისი ხასიათით, როგორ ახლებურად აელვარა ეს გამოთქმები, ახალი სული შთაბერა მათ და გაგვაოცა მანამდე თითქოსდა მიჩქმალული, მაგრამ აშკარად არსებული თვალისმომჭრელი სიკაშკაშით.

დარიკო მახარობლიძე

# სიტყვა თქმული ბაქოში ჩატარებული აკაკის საიუბილეო საღამოზე 1908 წლის 21 დეკემბერს

**არქივებში მოიძია და მოგვაწოდა აკაკი წერეთლის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალების მოამაგემ, დოცენტმა შოთა ბარამიძემ.**



ძვირფასო მგოსანო აკაკი"

ბაქოს ქართველ ქალთა საზოგადოება მოგილოცავთ თქვენ, ამ ჩვენთვის ძვირფას და ბედნიერ დღეს. უნდა ადამიანს დაუშრობელი ენა ჰქონდეს და დაუშრეტელი მელნის ტბა, რომ გამოთქვას დიდება შენი და მნიშვნელობა იმ ღვაწლისა, რომელიც მიგიძღვის შენ სამშობლოს წინაშე.

შენში, მგოსანო, განხორციელდა საქართველო, შენ განხორციელდი მასში.

იმ დროს, როცა სრულიად მოდუნდა ჩვენი ცხოვრება, ყოველ დარგში ცხოველმყოფელი ძარღვის ცემა, შენ მოევლინე მაშინ ჩვენს სამშობლო ქვეყანას მუქარვარსკვლავად.

გაზვიადებით არ იქნება ნათქვამი, რომ მოგახსენოთ: შენ ყველაზე ძალიან გაწუხებდა ქართველი დედის სიბერავე, მისი დაკნინება და დადუხჭირება, დაკარგვა ძველი დედის ნიშანწყალისა, შენ ჩაგვძახოდი: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა!" „მარტო ცრემლები ქვეყნისათვის საშველად არ კმარა!"

თვალწინ გვიყენებდი ძველ დედებს, რომელნიც მამულს უზრდიდნენ თავდადებულ შვილებს: სტიროდი ჩვენს ბეჩაობას:

„ქართველ ქალს ვერ ვცემ თაყვანსა,
ზარს არ ვუმღერებ მის კუბოს
და ნანას მისსა აკვანსა,
მიტომ, რომ მასში შვენებას
აკლია გვირგვინ-ბეჭედი,
აწმყოში სულისჩამდგმელი
და მომავალში იმედი..."

„ნათელაში" ცხოვლად დაგვიხატე ძველი ქართველი დედა; მამულისათვის თავდადებული. ნათელას სიმღერაში გამოთქვი მთელი პროგრამა ქართველი ქალის მომავალი მოქმედებისა; ნუგეშის მგოსანო, ქართველი ქალი დგება მკვდრეთით. ნათელას სიმღერა კიდით-კიდემდე ისმის, ჟღრიალებს მისი ჩანგი. ქართველი დედები გალობენ, დედები გალობენ მამულის სიყვარულს: „ერთი მეორის თანხმობით", ნუ გეშინია მგოსანო! შენ ჩონგურს ჩვენი სიმები გაება, გვწამს.

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე, უნდა შველა!"

გვწამს, რომ: ჩონგური საქართველოა და სიმებიც ჩვენ ვართ ყველა...

გვწამს „მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით, ფუტკარი... ჭიანჭველა..."

ჩვენ აღარ ვმღერით ცალ-ცალკე, ოდელია დელია დელასა. შევიგენით, რომ: ერთიანობა ჩვენთვის ტახტია. მტრებისთვის სახრჩობელაა. შევიგენით ეს თქვენი ქადაგება: დღეს ქართველმა დედამ პირი იბრუნა საწალმართით, თქვენი იმედი აჟვავდება. გულს ნუ გაგიტეხს ჭაღარა.

თქვენს მოძღვრებას რძეში ვურევთ და ვაწოვებთ ჩვენს შვილებს: დრო მოვა და არც შორს არის იგი: წამოიზრდებიან „ლეკვნი ლომისა", „მიჯაჭვული ამირანი", გამოიღებენ ხელს, აწყვეტენ არტახებს და ჩაებმებიან ფერხულში სამშობლოს აღსადგენად. ნათელები უკვე ზრდიან ცოტნეებს ცბიერკლიტულის დასალეწად და დატყვევებული ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად.

სსლმ. ფონ. 19796-II.



საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ნინო დარასელია

# ერთი ტერმინის განმარტებისთვის

## მეტყველებითი ორმაგობა

ტერმინი "doublespeak" (სიტყვასიტყვით „ორმაგი მეტყველება") 1971 წელს შემოიღო ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისური ენის მასწავლებელთა ეროვნული კომიტეტის მიერ (NCTE). იგი წარმოადგენს ცნობილი სატირიკოსისა და პუბლიცისტის ჯორჯ ორუელის ნაწარმოებიდან „1984" აღებულ ცნებათა "doublethink" (ორმაგი აზროვნება) და "newspeak" (ახალი მეტყველება) ნაერთს. ტრადიციულად, ლიტერატურათმცოდნეები ჯორჯ ორუელის „1984"-ს განიხილავენ, როგორც ტოტალური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ სატირას. უფრო მართებული იქნება, თუ ჯ. ორუელის აღნიშნულ ნაწარმოებს თვალს მივადევნებთ პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხს. დამორჩილებული ინდივიდისა და სახელმწიფოს შორის საუკუნოვანი ისტორიის მქონე ბრძოლა და ერთ-ერთი არქეტიპული თემაა. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხელისუფალნი ცდილობდნენ შეემუშავებინათ დასჯის მეთოდები, რომელთა მთავარი მიზანი ადამიანში პიროვნების, ინდივიდის დათრგუნვა და განადგურება იყო. შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნემდე ეს ორთაბრძოლა ყოველთვის პიროვნების გამარჯვებით მთავრდებოდა - ადამიანს შეიძლება გამოეხატა გარეგნული მორჩილება, მაგრამ მისი შინაგანი თავისუფლება - სული, აზროვნების პროცესები სახელმწიფოსათვის ხელშეუხებელი და მიუწვდომელი რჩებოდა. ყოველივე ეს შეიძლება დეკარტეს ცნობილი სენტენციის სახეშეცვლილი ფორმით გამოიხატოს - „მე ვაზროვნებ, ე. ი. თავისუფალი ვარ." მე-20 საუკუნის სახელმწიფო ახერხებს ადამიანის რობოტად, ფუნქციად (თ. ს. ელიოტი), ერთგანზომილებიან (ჰერბერტ მარკუზე) არსებად გადააქციოს; მის აზროვნების პროცესში შეიჭრას და მართოს, ყოველივე ეს ენის მეშვეობით ხორციელდება.

ამ რას წერს ჯ. ორუელი თავის ესსეში „პოლიტიკა და ინგლისური ენა": „როდესაც თვალყურს ადევნებ ერთ-ერთი ასეთი დაღლილი პოლიტიკოსის", რომელიც ტრიბუნიდან მექანიკურად იმეორებს გაცვეთილ ფრაზებს - ცხოველური სისასტიკე, რკინის ქუსლი, სისხლიანი ტირანია, მსოფლიოს თავისუფალი ხალხები, ერთმანეთის მხარდამხარ, უცნაური შეგრძნება გიჩნდება, თითქოს ცოცხალ არსებას კი არა, თოჯინა-სათამაშოს უყურებდე. ხანდახან ეს შეგრძნება კიდევ უფრო მძაფრდება, ვინაიდან ორატორის სათვალეზე არეკლილი სინათლე მას ცარიელ დისკებად წარმოაჩენს, თითქოს მას მიღმა თვალები არ ყოფილიყოს."

სოციალიზაციის ისეთი მძაფრი იარაღის გამოყენებით, როგორიცაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ტელევიზია, რადიო, ტელეფონი) და აგრეთვე პოლიტიკური დისკურსი, ადამიანთა სამყარო „მეორად სამყაროდ" (second-hand world) გადაიქცევა. ენაში ნაღებული ყველა ფასეულობანი განაპირობებენ ადამიანის მიერ სამყაროში მიმხდარ მოვლენათა ხელისუფლებისათვის სასურველი კუთხით აღქმას - უარყოფით მოვლენათა ან ფაქტთა დადებით ან შერბილებულ შეფასებას. ამის შედეგად წარმოიქმნება შეუსაბამობა რეალურ სამყაროსა და მის ენობრივ ნიშანთა შორის, ენა განიცდის ინფლაციას. იგი გადაიქცევა ერთ-განზომილებიან ენად. (ჰ. მარკუზე). ორმაგი სტანდარტის მქონე კომუნიკაციურ-ენობრივ მოვლენად ანუ ორმაგ მეტყველებად (doublespeak).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, (doublespeak) წარმოადგენს ჯ. ორუელის „1984"-დან აღებულ ცნებათა ("newspeak" და "doublethink") ნაერთს. „1984"-ში სახელმწიფო ოკეანიის ხელისუფალნი ხელოვნური ცვლილებანი შეაქვთ ინგლისურ ენაში, მის ლექსიკასა თუ გრამატიკულ სისტემაში. მაგალითად, ისეთი „არასასურველი სიტყვა" როგორიცაა "bad" (ცუდი) ამოღებულია ხმარებიდან და ჩანაცვლებულია სიტყვით "ungood" (არა კარგი). ზოგიერთი ზმნა - speak, think ა. შ. არსებით სახელებს მიაკუთვნეს - შესაბამისად შედეგად არსებით სახელებში newspeak, doublethink, doublespeak სიტყვები speak და think არსებითი სახელებია - ახალი მეტყველება, ორმაგი აზროვნება, ორმაგი მეტყველება. ისეთი ცნებები, როგორიცაა მშვიდობა, თავისუფლება, ცოდნა გადაიხარნენ მათ კონტრადიქციულ ოპოზიციებს: ხალხს არწმუნებენ, რომ ომი - მშვიდობაა, თავისუფლება - მონობა, ცოდნა - უმეცრება. ამრიგად, ძველი ინგლისური (Old English) უპირისპირდება ახალ მეტყველებას (Newspeak). ახალი მეტყველება მჭიდრო კავშირშია doublethink-თან (ორმაგ აზროვნებასთან). ჯ. ორუელის განსაზღვრებით daublethik არის მენტალური ქმედება, რომელიც თანადროულად მოიცავს ცოდნას და არცოდნას; ადამიანი აცნობიერებს რა ჭეშმარიტებას, მაინც ამბობს ტყუილს. „ახალი მეტყველების" (newspeak) მიზანს წარმოადგენს ნაბიჯ-ნაბიჯ ადამიანში კრიტიკული აზროვნების უნარი. „ორუელის ენის" შესაბამისი ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლის, ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ჰერბერტ მარკუზეს ტერმინი

„ორთგანზომილებიანი ენა" (წინიდან „ორთგანზომილებიანი ადამიანი"). ჰ. მარკუზეს თვალსაზრისით, ოფიციალური პირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მიმართავენ ერთგანზომილებიან ენას, რომელშიც არ აისახება მრავალგანზომილებიან გარე სამყაროში არსებული სოციალური თუ პოლიტიკური წინააღმდეგობები თუ პრობლემები, „ჯადოსნურ - რიტუალური" ფორმულებით, „ფიქსირებული სიტყვით" ერთგანზომილებიანი ენა ხელყოფს აზროვნებას, მართავს საზოგადოებრივ აზრს, ახდენს ავტორიტარის აზროვნებითი პროცესებით მანიპულირებას, მარკუზეს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში ცნებები „სოციალიზმი", „მშრომელთა დემოკრატია" გამოიყენება პარტიის დიქტატურის აღსანიშნად. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი „დემოკრატია", „თავისუფლება", „თანასწორობა" აღნიშნავს კლასობრივად დანაწევრებულ, არათავისუფალ, უთანასწორო საზოგადოებას.

ამრიგად, ჯ. ორუელის ტერმინები „ახალი მეტყველება" და „ორმაგი აზროვნება", მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი არ არის. აღნიშნული ენობრივ-აზროვნებითი მოვლენა ადამიანური ქცევისათვის საკმაოდ ბუნებრივია. სწორედ ამან განაპირობა 1971 წელს ტერმინ doublespeak-ის შექმნა, რომელიც ქართულად გადმოვიტანე, როგორც „მეტყველებითი ორაზროვნება". სიტყვა „ორაზროვნება" ცოტათი განმარტების შექმნილია, და იგი, ჩემი თვალსაზრისით, შეიძლება ასახავს ადამიანური აქტივობის მახასიათებელ ლინგვისტურ პრინციპს (დადებითი - უარყოფითი). ეფუძნება ორწევრა სტრუქტურას. ადამიანის ხედვით საწყისი წარმოსდგება როგორც ანტინომიათა ერთობლიობა ან დაპირისპირება:

„ორაზროვანი არის საწყისი, ხან ნიღაბს
ხან კი გვაძლევს;
ღმერთს რომ კარგი წინ გიძღვებოდეს, უკან მოგდევს
ხვალ ის."

სოციალური ლიტერატურა (განსაკუთრებით ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ეთნოლოგიაში, არქეოლოგიაში და სხვა) და უშუალოდ ენობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანის მენტალურ რუკაზე სამყაროს კონცეპტუალიზაცია და კატეგორიზაცია ბინარულ პრინციპს ეფუძნება. გარე სამყაროდან მიღებული ინფორმაციის დახარისხება და შენახვა ადამიანის გონებაში ხორციელდება, როგორც დადებითისა და უარყოფითის, კეთილისა და ბოროტის, შავისა და თეთრის, ცუდისა და კარგის და ა. შ. ერთობლიობა\დაპირისპირება\მონაცვლეობა და სხვა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ზღაპრებში, ლეგენდებში, კაცობრიობის მითო-პოეტურ შემოქმედებაში და იგრეთვე პრიმიტიული სტრუქტურის მქონე ენობრივ ერთეულებში: ანდაზა („ლეკვი უცნობისათა, წყალი უმცირესისათა"), აფორიზმი („სულის სიცოცხლეა ნაჭრასსა, სიკვდილი სახელოვანი"), პარადოქსი („ო, უბედურებავ! შენ ხარ ძირი ბედნიერების. ო, ბედნიერებავ! შენ ხარ ძირი უბედურების." ლაო-ძი).

კოგნიტოლოგიის თვალსაზრისით, ცოდნის შენახვისას სწორედ პრიმიტიული ფორმა (სტრუქტურა-არგუმენტი+პრედიკატი) წამყვანი მნიშვნელობისაა.

დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მეტყველებითი ორაზროვნების შემთხვევაში, არქეტიპული სემანტიკური სტრუქტურა ცვლილებას განიცდის; იგი ორი სახით გვხვდება:

1) შავი → თეთრი - უარყოფითი მოვლენა წარმოჩენილია, როგორც დადებითი. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ დისკურსში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი სახელდებულია როგორც „ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი", ან პირიქით - ტერორისტებს უწოდებენ „თავისუფლებისთვის მებრძოლებს". მწვავე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს წარმოადგენენ, როგორც „აღმავლობისა და აღმშენებლობის ხანას". საკონცენტრაციო ბანაკი - „მშვიდობადამყარებული სოფელი" ("pacified helmet") და სხვა.

2) ცუდი → არაკარგი, ანუ ევფემისტური პრინციპი. უარყოფითი მოვლენის ნიშნაკლისას ხდება სიტუაციის შერბილება, ან მისი გაბუნდოვანება. ეს მიიღწევა ვარგისის, მაღალფარდოვანი ლექსიკის, ან არაპირდაპირი ენობრივი ხერხების გამოყენებით:

ა) პოლიტიკური მკვლელობა → „ნეიტრალიზაცია"

ბ) მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა → „ქირურგიული დარტყმა" (surgical strike)

გ) ტყუილი → აზრის არამართებული ფორმულირება "misstatement" და სხვა.

მეტყველებითი ორაზროვნების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს შეუსაბამობა ადამიანის მიერ ნაცნობი ქმედებისა და საზოგადოებაში მიღებულ ეთიკურ ნორმებს შორის. მეტყველებითი ორაზროვნების გამოყენებისას კომუნიკანტი ცდილობს ენის მეშვეობით დაფაროს მის მიერ ჩადენილი დანაშაული და ერვინ გოფმანის ტერმინით რომ ვთქვათ, შეინარჩუნოს თავისი „სახე", ანუ „სოციალური მე".

ამრიგად, მეტყველებითი ორაზროვნება (doublespeak) უნივერსალური ქცევის ერთ-ერთი საინტერესო ტიპია. იგი მიზნად ისახავს „დაიცვას ის, რისი დაცვაც წარმოუდგენელია" (ჯ. ორუელი). თუმცა სიტყვის „ორაზროვნება" ტერმინად დამკვიდრება, ჩემი თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს ამ მოვლენის ... მაგრამ სემანტიკურად მეტად ტევადი ლექსიკური ერთეულის ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებას.

# „აკადემიური ასოციაციის“ სწავლებისათვის მე-11 კლასში

უახლეს ქართულ მწერლობას თანამედროვე მეცნიერ-მკვლევართა უმრავლესობა ახლებური თვალთახედვით კითხულობს. თითოეული ლიტერატურული მოვლენის, ფაქტის ანალიზს საფუძვლად უდევს ეროვნული პოზიცია, რაც ხდება კიდეც საწინდარი ახალი ორიენტირების გამოკვეთისა. სასკოლო პროგრამის გარკვეული სახეცვლილებაც ამ ფაქტით აიხსნება. ამიტომ პედაგოგს საგნის სწავლებისას განსაკუთრებული სიფრთხილე, ტაქტი და განსწავლულობა მართებს.

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების უახლესი ქართული ლიტერატურის მიმოხილვას სასკოლო პროგრამით (1) ეთმობა 4 საათი, აქედან 2 საათი განკუთვნილია ლიტერატურული დაჯგუფებების („აკადემიური ასოციაცია“, „ცისფერყანწელები“, „ფუტურისტები“, „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“) გაცნობისათვის. სამწუხაროდ, „აკადემიური ასოციაცია“ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. დ. თევზაძის ნაშრომს „ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებანი“; თბ., 1994), მაშინ, როდესაც ოციანი წლების ქართულ მწერლობაში არსებულ გაერთიანებებსა და დაჯგუფებებზე დაწერილია არაერთი მეცნიერული გამოკვლევა და სამეცნიერო ნაშრომი. ამიტომ, დასახელებული თემის სწავლებისას მასწავლებელს მთელი რიგი სირთულეების გადალახვა მოუწევს. ჩვენი რეკომენდაციები, ვფიქრობთ, დახმარებას გაუწევს პედაგოგებს „აკადემიური ასოციაციის“ სწორი პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური სწავლების თვალსაზრისით.

საკითხის მეთოდურად დამუშავების აუცილებლობა მოითხოვს, გამოიკვეთოს ის მცდარი პოზიცია, რაც სულიერებასთან, ზოგადად, ქართულ მწერლობასთან მიმართებაში დაიკავეს თავის დროზე „პროლეტარულმა მწერლებმა“. მათი მცდარი შეხედულებების მართებული ანალიზი დაეხმარება მასწავლებელს, გამოკვეთოს „აკადემიური ასოციაციის“ ეროვნული პოზიცია და მისი ადგილი კლასიკურ მწერლობასთან მიმართებაში. აქვე შევნიშნავთ, რადგანაც ეს არის ლიტერატურის თეორიის ერთ-ერთი საკითხი, ამიტომ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში შექმნილ ცალკეულ ნაწარმოებებზეც. ამ თვალსაზრისით მათ განსაკუთრებით გამოადგებათ მოსწავლეებთან კლასგარეშე და ფაკულტატური მუშაობა, რათა გამოიკვეთოს ცალკეულ მწერალთა როლი „აკადემიური ასოციაციის“ არსებობის პერიოდში.

მიგვაჩნია, რომ თემის სწავლებას, შესაძლოა, დაეთმოს 1 საათი და მასწავლებელმა, სასურველია, მუშაობა წარმართოს ლექციური მეთოდით შემდეგი გეგმის მიხედვით: 1) „აკადემიური ასოციაციის“ დაარსების ისტორიიდან; 2) „აკადემიური ასოციაციის“ ეროვნული პოზიცია; 3) ასოციაციაში გაერთიანებული მწერლები და მათი შემოქმედების ზოგადი მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებანი.

1. მასწავლებელმა შესავალ სიტყვაში უნდა მიმოიხილოს ჩვენი საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ყურადღება უნდა გაამახვილოს მარქსიზმზე, როგორც ახალ მსოფლმხედველობაზე, რომლის ანტიეროვნულმა ხასიათმა ამ გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში განაპირობა ქართველ მწერალთა გაერთიანება 60-იანელთა ტრადიციების გათვალისწინებით: „იგი იყო ძირითადი ბირთვი ქართული მწერლობისა და ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ერთგულებით გამოირჩეოდა“ (2; 99). მოსწავლეებს ასევე უნდა მივაწოდოთ ცნობები ასოციაციის დაარსების ისტორიიდან.

„1908 წელს, სასტიკი რეაქციის პერიოდში, დაარსდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“, ხოლო 1917 წელს — „ქართველ მწერალთა კავშირი“. 1921 წლიდან, როცა ამ კავშირს გამოეყო მწერალთა ერთი ნაწილი, რჩება „ქართველ მწერალთა კავშირი“, შემდეგში ე.წ. „აკადემიური ასოციაცია“ (3; 4), რომელიც მთელი სისასტიკით იბრძვის რუსეთის ანტიქართული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ერთგულად იცავს კლასიკური მწერლობის ტრადიციებს.

2. „აკადემიური ასოციაციის“ ეროვნულ პოზიციას ცალსახად ავლენს მისი დამოკიდებულება ეროვნული მწერლობისადმი, რომლის ქომაგის, მზრუნველის როლი მან ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ჟამს ერთპიროვნულად იკისრა. ამ გაერთიანებამ თავის თავზე აიღო ეროვნული მწერლობის წინამძღოლობა, არ შეუშინდა რაპპულ სალიტერატურო კრიტიკას და მშობელი ხალხის ინტერესების სამსახურში ბოლომდე შეინარჩუნა სიმტკიცე და გაუტეხელობა: „ალბათ, არ დარჩენილა ეროვნული პრობლემის არც ერთი ასპექტი, რომელზეც თავისი მრწამსი არ გამოეთქვა „აკადემიურ ასოციაციას“ (4; 5).

მართალია, „აკადემიური ასოციაცია“ ლიტერატურული ორგანიზაცია იყო, მაგრამ, სხვა ლიტერატურული დაჯგუფებებისაგან განსხვავებით, ის

აღიარებდა ხელოვნების პოლიტიკურ როლს, გარკვევით აყალიბებდა ეროვნულ- პოლიტიკურ პოზიციას, ავლენდა ქართველი ხალხის, მთელი ინტელიგენციის დაუმორჩილებლობას. მასწავლებელმა აქვე უნდა გაამახვილოს ყურადღება ასოციაციის ფრთხილ სტრატეგიაზე, რომელიც ბრძოლის შეურიგებელი ფორმების გვერდით, არ გამორიცხავდა მთავრობასთან მოჩვენებითი დაახლოების მომენტებსაც. მაგალითად დავასახელებთ კ. გამსახურდიას, რომელიც იძულებული გახდა, წასულიყო დათმობაზე, ეღიარებინა „საბჭოური რეჟიმი" და ეთანამშრომლა კიდეც „წითელ საქართველოსთან", რადგან კ. გამსახურდიას სიტყვით, „საქართველო როგორი ფერისაც არ უნდა ყოფილიყო, მას ვერ გაექცეოდნენ". (5: 40).

3. „აკადემიურ ასოციაციაში" გაერთიანებული იყო არაერთი ცნობილი ქართველი მწერალი: ა. აბაშელი, ვ. ბარნოვი, შკ. გაბაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, დ. კლდიაშვილი, გ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი და სხვანი. აღსანიშნავია, რომ „აკადემიური ასოციაციის" სწავლება სკოლაში წინ უსწრებს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ, აქ დასახელებული არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედების შესწავლას. ამიტომ მასწავლებელმა თემის დამუშავებისას მოკლედ, ლაკონურად, ამავე დროს შთამბეჭდავად უნდა გამოკვეთოს ის მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებანი, რომელთაც ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას შემოქმედებაში საფუძველი ჩაეყარა სწორედ „აკადემიურ ასოციაციასთან" თანამშრომლობის პერიოდში.

ამ პრობლემის დამუშავებამდე მასწავლებელმა უნდა შენიშნოს, რომ „აკადემიური ასოციაცია" აერთიანებდა სხვადასხვა მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებებისა და სტილის მწერლებს (რეალიზმის, ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონისტული სკოლების მიმდევრებს, მოკლედ უნდა განიმარტოს ამ სკოლათა არსი), ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ „აკადემიური ასოციაცია" „ტრადიციული თემატიკის" გვერდით ფართოდ უღებს კარს ნოვატორულს და ცდილობს ქართული მწერლობა აზიაროს ევროპული ლიტერატურული სკოლების თავისებურებებს, მის მხატვრულ ფორმებს.

ექსპრესიონიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის, განმარტების შემდეგ, მოსწავლეებს სანიმუშოდ დავუსახელებთ კ. გამსახურდიას ნოველებს („ქოსა გახუ", „ზარები გრიგალში", „ტაბუ", „დიდი იოსები"), რომლებშიც მწერალმა ეროვნულ ფერებში გამოხატა ექსპრესიონისტული ცნობიერება.

„აკადემიური ასოციაციის" დაინტერესება ევროპული ლიტერატურით ნათლად დასტურდება ნ. ლორთქიფანიძისა და ლეო ქიაჩელის 20-იანი წლების ასოციაციასთან თანამშრომლობის პერიოდის შემოქმედებით, რომელსაც მოსწავლეები სასკოლო პროგრამის მიხედვით მოგვიანებით გაეცნობიან. ამ ეტაპზე კი პედაგოგმა მათ უნდა განუმარტოს იმპრესიონიზმის რაობა, მიუთითოს, რომ ნ. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტია, და რომ იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელია მინორული განწყობილებები, ტრაგიკული განცდა, სულიერი დაღლილობა, ფრაზის ლაკონიზმი და სიცხოველე, რაც ნათლად აისახა ნ. ლორთქიფანიძის ნოველებში „თავსაფრიანი დედაკაცი", „ტრაგედია უგმიროთ" და სხვა. რაც შეეხება ლ. ქიაჩელს, იგი წერს „უცნაური მოთხრობების" ციკლს (თუმცა, მოგვიანებით, ექსპრესიონიზმსაც თანაუგრძნობს) და სხვა.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოსწავლეების ყურადღება გავამახვილოთ აგრეთვე ვ. ბარნოვის შემოქმედებაზე, რომელიც „აკადემიურ ასოციაციასთან" თანამშრომლობის პერიოდში ავითარებს ისტორიულ რომანს და სხვა.

მასალის გადაცემის შემდეგ მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ ასეთი დასკვნები:

ა) „აკადემიური ასოციაცია" დაარსდა 1917 წელს და არსებობას აგრძელებს 1930 წლამდე (დაიშალა 1930 წელს, სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მე-4 პლენუმის დადგენილებით).

ბ) მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათაგან „აკადემიური ასოციაცია" ყველაზე მეტად ინარჩუნებს ეროვნული პრინციპებისადმი ერთგულებას, აგრძელებს კლასიკური მწერლობის ტრადიციებს და იბრძვის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ.

გ) „აკადემიური ასოციაცია" აერთიანებდა არაერთ სახელოვან ქართველ მწერალს, რომლებიც, განსხვავებული ლიტერატურულ-ესთეტიკური და მხატვრული პრინციპების მიუხედავად, ერთიანი ძალით იბრძოდნენ ეროვნული მწერლობის წინსვლისათვის.

მოსწავლეებს, შესაძლოა, მივცეთ დავალება: წაიკითხონ კ. გამსახურდიას ნოველები.

## ლიტერატურა:

1) ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა (მე-5-8 კლასები), თბ, 2000;

2) რ.მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ, 1998;

3) დ. თევზაძე, ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებანი, თბ, 1994.

ლელა მილაძე

*ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი*

# მშობლიური ენის სიწმინდისათვის



ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნებისთანავე, ადგილობრივმა მმართველმა ორგანოებმა შეიმუშავეს ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობის, განვითარების, საყოველთაო დანერგვისა და მეცნიერული შესწავლის გეგმა. შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც ამოწმებდნენ საწარმოო-დაწესებულებებში ენის ნორმების დაცვის მდგომარეობას, შეიცვალა წარწერები, რეკლამები, აბრები, ფირნიშები, საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები აღიჭურვა ქართულენოვანი ელექტრო-გამომთვლელი მანქანებით. დედაქალაქის კულტურულ-ისტორიულ ძეგლებთან ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები, ფოლკლორული საღამოები, თეორიული კონფერენციები.

საკმარისი არ არის გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, რომ მშობლიურ ენას მოვლა-პატრონობა სჭირდება, რომ ენას პატრონი არ ჰყავს. მთავარია გავიგოთ, რატომ და როგორ მოხდა, რომ ქართველი ვერ ახერხებს ქართულად მეტყველებას, ქართულად გამართულ წერას, კითხვას, აზროვნებას.

შეამოწმეთ ჩვენი უფროსი კლასის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. მათი უმეტესობა შპარგალკების გამოყენებით არის დაწერილი, არც გადაწერისა და შპარგალკებისადმი მიდგომა შეცვლილა, პირიქით გაიოლდა, დაიხვეწა, გაუმჯობესდა მისი დამზადების ტექნოლოგია ქსეროქსის წყალობით.

ქართული ენის დაბინძურება აქამდე რუსული სიტყვების „ხარჯზე" ხდებოდა, დღეს წარმოუდგენელი სისწრაფით მკვიდრდება ჩვენს ენაში ინგლისური, გერმანული, სხვადასხვა სიტყვები და გამოთქმები, იმ დროს, როდესაც ქართულში მოიპოვება მათი შესატყვისები. ზოგმა შეიძლება არც იცის, რა ბრძოლა გადახდა ქართული ენის მესვეურთ მისი თავისთავადობის შესანარჩუნებლად, რომ ეს ბრძოლა გრძელდება დღესაც.

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერა-კითხვას და ლაპარაკს", ეს სტრიქონები არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწერა, დაიწერა, როცა ქართველს არა თუ ეთაკილებოდა, ზოგჯერ თავიც კი მოსწონდა, თუ ზურგს შეაქცევდა მშობლიურ ქართულს და რუსულად ამეტყველდებოდა. უბედურება ის იყო, რომ ბევრი მათგანი ინტელიგენტობაზე დებდა თავს. სწორედ ასეთ ქართველთა წყალობით, დანაგვიანდა ქართული ენა რუსიციზმებით.

ბავშვის ფსიქიკა ბუნებრივად იგებს, ისისხლხორცებს მხოლოდ ერთ ენას, და აუცილებლად იმას, რომელიც მშობლიურია. სწავლებაც ბავშვობის ასაკში, სწორედ ამ ენაზე, დედაენაზე უნდა მიმდინარეობდეს.

დედა ენა ყველაზე სათუთი, ყველაზე უშუალო გრძნობების ენაა, გულის ენაა, რომელიც შეზრდილია კი, შესისხლხორცებულია დედის ძუძუსთან ერთად.

– დედა ენა სულიერი ცხოვრების ნაწილია, ყოველ ენას თავისი განსხვავებული სული აქვს. დედა ენა გოგებაშვილს მიაჩნია ცოდნის „პირველ წყაროდ", ბავშვის გონების ყველაზე უფრო ბუნებრივ საშუალებად.

ქართულმა ენამ ერობრივ ასპარეზზე პოზიციები უნდა განიმტკიცოს. იქნებ რესპუბლიკურმა გაზეთებმა სპეციალური გვერდი ან ფურცელი დაუთმონ ქართულ ენასა და სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები, რომლებიც ასე აქტუალური და საჭიროა არა მარტო ყრმათათვის, არამედ მთელი ხალხისთვის.

უნდა ამაღლდეს ქართული ენის სწავლების ხარისხი ქართულ სკოლებში და შეიქმნას პირობები, რომ ქართველი უცხოენოვან სკოლაში არ შედიოდეს.

ომარ თოლორაია

*„ლიტერატურული საქართველო", 17-23 აგვისტო №33 2001წ.*



ნინო შარაშენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებები და ფრაზეოლოგიზმები ხალხურ მეტყველებაში

ენის ბუნება გარკვეულწილად განისაზღვრება ერის აზროვნებითა და მსოფლაღქმით. ენა ყველაზე უფრო სრულყოფილად აღწერს ადამიანისა და კოლექტივის მიერ აღქმულ სამყაროს, ასახავს ყოველივე იმას, რაც ამ კოლექტივის აზროვნების შემწეობით წარმოიქმნება. მაგრამ ამავე დროს კოლექტივის მსოფლხედვაზე გარკვეულ გავლენას ახდენს რელიგიური ცნობიერებაც. სამყაროს აღქმა, ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთობა, საზოგადოების ქცევის ნორმები მეტ-ნაკლებად სწორედ რელიგიური ცნობიერებითაა განპირობებული. რელიგიის გავლენა იგრძნობა ადამიანური ყოფის ყველა სფეროში, დაწყებული აზროვნებიდან – დამთავრებული კულტურით. ყოველივე ეს კი სხვადასხვა სახით ვლინდება მეტყველებაში. კოლექტივის აზროვნება და ენის ბუნება ყველაზე მკაფიოდ ფრაზეოლოგიზმებში ჩანს, რადგან ფრაზეოლოგია ის სფეროა ადამიანის აზროვნებისა, რომელშიც მოვლენათა თუ ცნებათა მიმართება სხვა სიბრტყეზე განიხილება და ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს. შესიტყვება იმ დროისა და სივრცეს მოიცავს, რომელსაც ადამიანის გონება სწვდება. მაგრამ შესიტყვება მყარ, უცვლელ. ამავე დროს ახალი აზრის დამკვიდრ ფრაზეოლოგიურ გამოთქმად იქცევა მას შემდეგ, რაც იგი მოწყდება პირვანდელ სემანტიკას და სრულიად ახალი აზრობრივი მნიშვნელობით მას ყველახლა მიიღებს და გაითავისებს კოლექტივი. მოვლენათა და საგანთა აღქმის თავისებურ ფორმად უნდა განვიხილოთ მსგავსებითი შედარება, რომელიც საგანთა განსაზღვრულ მიმართებას ავლენს, თუ ფრაზეოლოგიაში შემადგენელ კომპონენტთა შეერთებით სრულიად განსხვავებული და ახალი მნიშვნელობა იქმნება. მსგავსებით შედარებაში ორი საგნის ან მოვლენის შედარებით ერთის თვისებათა გამჟღავნებული აღქმა ჩანს. სწორედ ეს ენობრივი ფორმები – ფრაზეოლოგია და მსგავსებითი შედარება – ასახავს კოლექტივის აზროვნებას, გამოხატავს ენის ბუნებას და ადამიანის მიმართებას გარესამყაროსთან. მათში თავისებურად ვლინდება ერის ფსიქიკა, მის მიერ აქცენტირებული და გამოკვეთილი თვისებები გარემომცველი სამყაროსი.

როგორც აღვნიშნეთ, რელიგიური ცნობიერება ენობრივ აზროვნებაში აირეკლება. და ეს ასახვა იმდენად მყარია, რომ გარკვეული შრეების გამოკვეთაც კი ხერხდება. ქრისტიანული მსოფლხედვა განმსაზღვრელი გახდა ქართული აზროვნებისა მას შემდეგ, რაც იგი სახელმწიფო რელიგიად იქნა მიღებული. საზოგადოებრივ ყოფასა თუ ყოველდღიურ საქმიანობაში, ერის ფსიქიკასა და აზროვნებაში, ცნობიერებაში ნელ-ნელა შემოდიოდა და მკვიდრდებოდა იგი დოგმებისა თუ ნიუანსების სახით. საბოლოოდ იმდენად შეესისხლხორცა ეროვნულ ცნობიერებას, რომ ერის ფსიქიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ბიბლიური თუ სახარებისეული ცნებები, ამ წიგნთა სასიცოცხლოება საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად გადმოდიოდა ნათარგმნ და ორიგინალურ სასულიერო ლიტერატურაში. ეს იყო ქრისტიანული აზროვნების დამკვიდრების წმინდა გზა. მეორე მხრივ, ქრისტიანული მსოფლხედვა თავისებურად აისახებოდა ხალხის ცნობიერებაში და ახალ ენობრივ ფორმას იძენდა. ცალკეული რელიგიური ცნება არა თუ პირდაპირ, [illegible] გადადიოდა სახალხო მეტყველებაში, არამედ გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიდა და ადაპტირებული შეერწყმოდა ხალხის აზროვნებას. ამგვარად უნდა შექმნილიყო რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებები და ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებმაც ძველი მნიშვნელობიდან ახალი სემანტიკა გამოიმუშავეს და ასე დამკვიდრდნენ ხალხის მეტყველებაში.

ქართული ენა მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით. თ. სახოკიას „ქართული სახოვანი სიტყვა-თქმანი“ და ალ. ონიანის „ქართული იდიომები“ საკმაო რაოდენობით შეიცავს ამგვარ ერთეულებს. აქ შესულია როგორც იდიომები, ისე შედარებები. მათი განხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს

შემთხვევაში ლექსიკონის შემდგენლებს ხალხურ-ტრადიციული ლიტერატურული, კრიტიკული ან ნათარგმნი ნაწარმოებების კონტექსტები აქვთ მოხმობილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ფრაზეოლოგიზმი ძირითადად წიგნური აზროვნების ნიმუშებია (მაგ. აბრაამის ბატკანი – უდანაშაულო, უბრალო; აბრაამის ტაძარი – უხვი, ხანიერგვარი ხალხ სუფრა; ბეთლემის ვარსკვლავი – ლამაზი, იმედის ნამსხვრევი, ნოეს ხავანი; მკვდრის მოხვდა – სამშვიდო ამბავი, არეულობა; ბაბილონის გოდოლი – ღრიანცელი, ეგვიპტის სიბნელე; განკითხვის დღის დადგომა – შავი დღის, დანაშაულზე პასუხისმგებლობის ჟამის დადგომა).

ჩვენს ხაზინაში კი წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური გამოთქმები და შედარებები ხალხის სასაუბრო მეტყველებიდან. მასალა შეკრებილია ქვემოიმერეთსა და ლეჩხუმში. შედარებისათვის დამოწმებულია მათი შესატყვისები მეგრულსა და სვანურში.

**ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ.** ანგელოზი ბერძნულიდან მომდინარე სიტყვაა, რაც მაცნეს, შიკრიკს აღნიშნავს. ქრისტიანულ მითოლოგიაში იგი შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის. ისინი უხილავი, უხორცო, ფრთოსანი არსებანი არიან. ასევე აქვს განმარტებული იგი სულხან-საბა ორბელიანს: „მოციქულნი, გინა ქადაგი, ესე არს არსება გონიერი, უხილავი, დაუსაბამო და დაუსრულებელი, სული ნათელი და მსწრაფლ მიმსრბოლი, წინაშე ღვთისა მდგომელი“. ქართულში ანგელოზი გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება და უმანკო, სათნო, წყნარ, ნაზსა და ლამაზს აღნიშნავს (ქალი – ანგელოზსახიერი). თუმცა მას გარკვეულ მხარეზე სხვადასხვაგვარ ლიტერატურაში მნიშვნელობაც კი აქვს. მაგრამ ხალხის ცნობიერებაში ანგელოზი სილამაზის განსახიერებაა, განსაკუთრებულად ლამაზს, ნაზს. მოხმობილია შემდეგი შედარებები: „იმისთანა გოგოა, იმისთანა, ანგელოზივითაა“; „რამ დაგხატა ვარსკვლავივით, ანგელოზივით ქალია“; „ბავშვებში ამოდიან, შინაურ და ანგელოზებივით არიან და ჯოგში კი ჯოჯოხეთს ხედავს ხედავს“.

განსაკუთრებით საინტერესოა ცნება „მკვდარი ანგელოზი“, რაც შედარებაშია გამოყენებული და დამოწმებულია ორი მნიშვნელობით: 1.„მკვდარი ანგელოზივით ქმაწვდება ყორდელზე“. მთქმელი ასე განმარტავს ფრაზის შინაარსს: „მკვდარი ანგელოზი ჭექსა ადამიანის დაღლის და იგი დღეში სამჯერ იტყვის „ამინს“, თუ მისვლა დაეწყება იმას, ასრულდება იგი. ამიტომ არ უნდა დაეწყევლო სხვისთვის, ვინაც თუ მკვდარი დაგცემია, მაშინ მოვა.“ 2.„მკვდარი ანგელოზივით ჩაიარებულა“. – „კეთილმპარავი მკვდარი ანგელოზივით, მოვიდოდა და არ აქცეული არაფერს“. მთქმელი განმარტავს: „სახში თუ ბარ, სახლის კარამიდაზე ჩამოჯდება მკვდარი ანგელოზი, მარა შენ კი ვერ უცნობ. ის კარ ქოლგება, დადგება ყოველდგან“.

ფრაზა „მკვდარი ანგელოზი“ ქვემოიმერულში დასტურდება, სხვაგან კი გვხვდება „მკვდარი“ (პ.გაჩეჩილაძე, ს.მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი.)

თითქმის იმავე მნიშვნელობით, რაც ქართულშია, ცნება „ანგელოზი“ შედარებაში დასტურდება მეგრულშიც და სვანურშიც. იგი გამოყენებულია დასახასიათებელი ობიექტის სილამაზის, მშვენიერების გამოსახატავად:

მეგრ.: „ანგელოზიშგუა ბაღანა რე“ (ანგელოზივით ბავშვია)

სვან.: „ანგელეზ შალ დინალი“ (ანგელოზივით გოგოა)

მეგრულში იგი ასეთ კონტექსტშიც ჩანს: „ანგელოზიშიხე ისვიზვენან“ (ანგელოზივით გასუფთავებია, გაბრწყინებულია), რაც ობიექტის სიწმინდეს გამოხატავს. ეს უკანასკნელი, ვფიქრობთ, ახლოს დგას იმ გაგებასთან, რაც ქვემოიმერულში „მკვდარ ანგელოზთან“ ვლინდება.

**ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲝᲑᲐ** უძველესი ქრისტიანული დღესასწაულია, რაც სექტემბრის რელიგიური ზეიმით აღინიშნება, ამიტომაც უკავშირდება იგი ხალხის ცნობიერებაში დიდ სიხარულს (ქეიფი). ზედმ. დღესასწაულს შედარებაშიც სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება: 1. „ალავერდობასავით უხარია“ – „ისე უხარია ალავერდობასავით მიხარია“. 2. „ალავერდის ქორწილივით უხარია“. ალავერდობა-ობის შემდეგ წელი ქორწილი ამ დიდი დღესასწაულის სიმბოლოდ აღიქმება. ამიტომ სიხარულის განცდა სწორედ მას უკავშირდება. „მიხედე კაი ვარ და ახალი რაცა მეც ალავერდის ქორწილივით მიხარია“; „ბიჭები ასე, ახალი კაბა ალავერდის ქორწილივით უხარია“.

ალავერდის დღესასწაულს ყოველი მორწმუნე დიდი განცდით და სიხარულით ელის. მით უფრო იმიტომ, რომ ალავერდის დღესასწაული წინ უძღვის რთველს, გრძელი და მძიმე შრომა. ამიტომ ამ ძველ პერიოდში ალავერდის მოლოდინი იმედია მორწმუნისათვის, ამასთანავე სასიხარულოა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად ხალხში შექმნილ შედარებას – „ალავერდობასავით ველი“. ე.ი. დიდი მოლოდინით, განცდით, მოთმინებით ველი იმ დიდ სიხარულს, რაც მომელის, რაც იქნება: „რას ამბობ, ამ ამბავს ალავერდობასავით ველი“. „დედოფალი კაი ქალს, მაგ დღეს ალავერდობასავით ველი“.

ალავერდის წითელი ქორწილი ზედაპირ წითელი ფერის გამოსახატავად შეიძლება იყოს გამოყენებუ-

ლი შედარებაში. ოღონდ ამ შემთხვევაში ფრაზას ერთგვარი ირონიული ელფერი ადევს – ითქმება ემოციისაგან, აღელვებისაგან გაწითლებულ ადამიანზე: „აღდგომის კვერცხივით გაწითლებულა". „ტყუილი იყო აპა რა, რო შევხედე, აღდგომის კვერცხივით იყო გაწითლებული".

ბზობა. ეს ცნება ერთ შედარებაში გვხვდება: „ბზობა(გზობა) სახარებასავით დადის", რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტი წინასწარ გაუაზრებლად, უგზო-უკვლოდ, უანგარიშოდ დადის; ახლა თუ აქაა, ხვალ შეიძლება შორს იყოს, იმის განსაზღვრა ძნელია, თუ სად იქნება ხვალ. ამ შედარებას საფუძვლად შემდეგი გარემოება უდევს: როგორც ცნობილია, აღდგომა მოძრავი დღესასწაულია, იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობიდან (დღისა და ღამის თანასწორობა), სავსე მთვარის მომდევნო კვირას. ეს ხდება ძვ.სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (ახ.სტ. 4 აპრილიდან 8 მაისამდე), ე.ი. მერყეობს მთელი თვის განმავლობაში, ამიტომ აღდგომა მოძრავ დღესასწაულთა რიცხვს განეკუთვნება. რაც შეეხება ბზობას, იგი აღინიშნება უკანასკნელ კვირას აღდგომის წინ. ბზობის წინასწარ განსაზღვრა სრულიად შეუძლებელია, იგი აღდგომის დღესასწაულს მიემართება: როცა დადგინდება აღდგომის აღნიშვნის დღე, მხოლოდ მაშინ განისაზღვრება ბზობის აღნიშვნის თარიღიც. აი, სწორედ ეს განუსაზღვრელობა უნდა იყოს ამ შედარების შექმნის საფუძველი.

საინტერესოა კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი, ესაა „სახარება", რაც კონტექსტში აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავს. აქ, ვფიქრობთ, იმ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაც ლიტერატურის თეორიაში სინეკდოქეს სახელითაა ცნობილი, კერძოდ, ერთი ცნების შეცვლა მეორეთი, ანუ ზოგადი ცნების ხმარება კონკრეტულის ნაცვლად. სახარება ქრისტიანული მოძღვრების საყრდენი წიგნია, სწორედ იგი შეიცავს ცნობებს ქრისტეს აღდგომის შესახებ. ამ შემთხვევაში სწორედ ქრისტიანულ რელიგიის ზოგადი ცნება – სახარება – გამოყენებულია კონკრეტული ცნების – აღდგომის – ნაცვლად. ეს შედარება შემდეგ კონტექსტებში გვაქვს დამოწმებული: „მაგისას რას გეიგებ რამეს, გზობა-სახარებასავით დადის"; „ქე დამპირდა მოვალო, მარა გადაუხვია გზაზე, რას გეიგებ, გზობა-სახარებასავით დადის".

ეშმაკი. ქრისტიანული მსოფლმხედველობით აგი არსება, ბოროტი სული, ღმერთის მთავარი მოქიშპე, ყველა ცოდვისა და უბედურების მიზეზი. ხალხის ცნობიერებაში ეშმაკი ყოველგვარ ცუდს, მაცდუნებელს, ბოროტს აღნიშნავს. ეს მითიური არსება უარყოფითი აზრით მრავალ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში გვხვდება (თ.სახოკია, ალ. ონიანი). მათი გამეორებისაგან თავს შევიკავებთ და წარმოვადგენთ რამდენიმე შედარებას, რომელიც მაცდურებასა და უკეთურებას გამოკვეთს:

1.„ეშმაკივით წინ დახვედრა" – „ე ქალი ეშმაკივით დამხვდა წინ". ამ შედარებაში ჩანს უსურველობა, რაც გამოწვეულია ობიექტის ცუდი თვისებით, მაგ. მისი ცუდი ფეხით, დანავსის უნარით და ა.შ.

2. „ეშმაკივით აღევნება"– „ეშმაკივით დასდევს უკან სულ", „დაღუპავს მა ბიჭი მაგას, ეშმაკივით სულ უკან დასდევს". შედარება ეფუძნება იმ აზრს, რომ ეშმაკი მუდამ, მოუშორებლად თან დასდევს ადამიანს და ათასგვარ საფრთხეს, ცდუნებას, ფათერაკს უმზადებს.

3. ეშმაკივით თვალები – „ეშმაკივით აქვს თვალები, ყორყელს ხედავს, მაგრამ გამოაპარეფ რამეს?"ხალხის ცნობიერებაში ეშმაკი მეტისმეტად ცუდი გარეგნობითაა წარმოდგენილი (თხის რქებიანი და ჯორის ფლოქვებიანი), ამას ემატება წვრილი, მოძრავი და ყოვლისმხილველი თვალები, რათა მის უკეთურ არსებას არაფერი გამოეპაროს.

ზიარება. ზიარება ერთ-ერთი საიდუმლოთაგანია. მისით ხდება ცოდვების გამოსყიდვა, მიღებული პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა და ასე ეზიარება ადამიანი უფლის საწმინდეს. ზიარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მომაკვდავისათვის, რადგან იგი ღმერთთან პირისპირ შესახვედრად და სასუფეველში დასამკვიდრებლად მიდის ამ ქვეყნიდან. ზიარების მიუღებლობის შემთხვევაში ადამიანი ცოდვებისაგან ვერ განიწმინდება და აქედან გამომდინარე ვეღარც სასუფეველს იხილავს, ანუ მისი სული დაიღუპება ჯოჯოხეთში ნანთქმი. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მომაკვდავისათვის ზიარების მიღებას. ეს ქრისტიანული რიტუალი რამდენიმე გამოთქმას დაედო საფუძვლად:

1. ზიარებასავით სულზე მისწრება – გადარჩენა, ხსნა. „ამ ფულმა ახლა ზიარებასავით მომისწრო სულზე".

2. მღვდელი ზიარებას ვერ მოგასწრებს – მუქარაა: ისე უცებ მოგკლავ, რომ მღვდელიც კი ვერ მოასწრებს შენს ზიარებას. „გადი იქით თვარა, თუ დაგარტყი, მღვდელი ზიარებას ვერ მოგასწრებს".

ეს ფრაზა მეგრულშიაც ამავე სახითაა გავრცელებული: „ზიარებას ვამიოჯიშუა" (ზიარებას ვერ მოუსწრები, ისე სწრაფად მოგკლავ); „პაპაშ ზიარებას ვამიოჯიშუანქ" (მღვდლის ზიარებას ვერ მოუსწრები).

(დასასრული შემდეგ ნომრში)

ბურჯულებისათვის ძალზე მტკივნეული იყო 2000 წლის ივნისი: ერთგული მეგობარი დალი შენგელია გამოგვეთხოვა სამუდამოდ. კიდევ ერთხელ ავეცხადდა ჩვენი საერთო მასწავლებლისა და მეგობრის ბესიკ ჯორბენაძის ნათქვამი: „ჩვეულებრივ, დრო აშორებს ერთმანეთს ადამიანებს. დრო და მანძილი. დროს ტკივილის დაყუჩების უნარიც აქვს; მაგრამ, როგორც ჩანს, ყველას მიმართ არ ითქმის ასე. არიან ადამიანები, რომელთა არყოფნით გამოწვეულ ტკივილს დრო უფრო ამძაფრებს, უფრო საგრძნობს ხდის". ასეთი ადამიანი აღმოჩნდა ჩვენთვის დალი შენგელია...

იმედი დაგვიტოვა დიდი დალი შენგელიამ — თავისი პირმშო ვამეხ ოქუჯავა. ჩვენთვის ვამეხის სიცოცხლე, სიბეჯითე, წარმატებები მისი ლამაზი და კეთილი დედის სიცოცხლის ტოლფასია — ვამეხს ხომ დედის ნათელი სული მუდამ თან ახლავს, მფარველობს და ზრუნავს მის სიკეთეზე. „თავფარავნელი ჭაბუკი" მიყვარს ძალიან, დედამ მასწავლაო...

იმ სიყვარულით ევლოს ვამეხს ცხოვრების დიდ გზაზე, დედამ რომ ჩაუნერგა...

დალი შენგელიას გახსენება მოგვინდა და ვამეხზე ვესაუბრებით...

# სიყვარულით ევლოს ვამეხს ცხოვრების დიდ გზაზე


თამარ მასხარაშვილი და ვამეხი

თბილისის დამოუკიდებელ საერო გიმნაზიაზე (დამფუძნებელი გოჩა აბდუშელიშვილი) არაერთხელ ყოფილა საუბარი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. ასე ხდება ხოლმე: ვისზეც გითქვამს კეთილი სიტყვა, მისი ცხოვრების მდინარება განსაკუთრებით გაინტერესებს. ამჯერადაც ერთ გიმნაზიელზე — მესამეკლასელ **ვამეხ ოქუჯავაზე** — მოგითხრობთ. ინტერესი ვამეხის მიმართ ზემოხსენებული მიზეზითაც არის განპირობებული და იმითაც, რომ ვამეხი ენათმეცნიერთა ოჯახიდანაა და ჟურნალის რედაქცია მშობლების სამეგობრო წრეს წარმოადგენს. მით უფრო, რომ ვამეხზე ზრუნვა მარტო მამის კი არა, ახლობლების, პედაგოგებისა და დედის უახლოესი მეგობრების ვალია.

ვამეხი საერო გიმნაზიაში ერთი წლის წინ მოვიდა. მისი პედაგოგი **თამარ ბუნტური** მოგვითხრობს, „ვამეხთან შეხვედრისას, პირველ რიგში, რაც თვალში მომხვდა, ეს მისი თბილი, შკვიანი და ალერსიანი თვალები იყო. ვამეხი მიმნდობი, დამყოლი ხასიათის და, ამავდროულად, პრინციპული ბავშვი აღმოჩნდა. იგი ფაქტებისა და მოვლენების მიმართ თავისებური ხედვით გამოირჩევა. თანაბარი სიძლიერით სწავლობს ყველა საგანს. აქვს ერთეული უნარი დაიმახსოვროს მასწავლებლის მიერ ერთხელ ნათქვამიც კი. მის თვალებში მუდამ ძლიერი ცნობისწადილი იკითხება.

ვამეხს უყვარს კითხვა და, განსაკუთრებით, ქართული ლექსი! ალბათ იმიტომ, რომ ლექსი მის ცნობიერებაში დედის სახესთან ასოცირდება. პოეზიის სიყვარული ხომ სწორედ დედამ ჩაუნერგა ჯერ კიდევ პატარას! ვამეხს უკვე არჩეული აქვს მომავალი პროფესია. მხატვარი მინდა გავხდე, — ხშირად უთქვამს ჩემთვის".

მამიდა — ია ოქუჯავა: „ხატვა პატარამ დაიწყო: თავიდან გაურკვევლად, მერე თანდათან გამოიკვეთა კონტურები და საკმაოდ საინტერესო ნახატებიც გამოჩნდა. დედას ეს არ გამოჰპარვია და შეეცადა დახმარებოდა. ნახატების პირველი შემფასებელიც დედა იყო... ხატავდა ნატურმორტებს, პეიზაჟებს... მერე თითქოს გაუქრა ინტერესი. მარტო ხატვა არ მიყვარსო, — ასე ხსნიდა თვითონ. თითქოს ხატვა იმ ბედნიერი დღეების გასახსენებლად ჰქონდა შემონახული".

ასე იყო. მაგრამ საერო გიმნაზიაში მოსვლისთანავე ვამეხი და ხატვის მასწავლებელი დამეგობრდნენ და სასწავლო წლის ბოლოს — 2001 წლის გაზაფხულზე საერო გიმნაზიაში ვამეხ ოქუჯავას ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო.

საერო გიმნაზიაში ხატვას ასწავლის **ეკა ბერიაშვილი** — ფერმწერი, სამხატვრო აკადემიის ასპირანტი, პროფ. ილია პატაშურის მოწაფე. ეკა გიმნაზიაში ხატვის წრესაც ხელმძღვანელობს. ვამეხი ხატვის წრეზე დადის და ძალიან უხარია ეკა მასწავლებელთან შეხვედრა.

ეკა ბერიაშვილი: „ვამეხს ყველაფრის მიმართ თავისებური ხედვა, წარმოსახვისა და კომპოზიციური განაწილების საოცარი უნარი აქვს, ძალიან კარგად გრძნობს ფერებს. ვამეხ ოქუჯავა და მხატვარი — ეს ორი ცნება იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ, ადვილი შესაძლებელია, ამ პატარა, საინტერესო ბიჭუნამ მხატვრობის ეკლიანი და მძიმე გზა აირჩიოს. მხატვრობის დიდი სიყვარული, იმედია, ყველაფერს გადაალახვინებს.

2001 წლის 25 მაისს საერო გიმნაზიას უწმიდესი და უნეტარესი ილია II სტუმრობდა. სხვათა მსგავსად ვამეხმაც თავისი საყვარელი ლექსი „თავფარავნელი ჭაბუკი" წაიკითხა. პატრიარქი მას მოეფერა და დალოცა,

ადამიანს ყოველთვის ახსოვს ძალზე ტკივილიანი და ძალზე ბედნიერი დღე. საკმარისია, რაც წუთისოფელმა, ჯერ კიდევ პატარას, ტკივილი აგემა; ახლა კი ვამეხს განგების ძალით და პატრიარქის ლოცვაკურთხევით დაუბრკოლებლად ევლოს მომავლის გზაზე.

**მაია ლომია**

გურამ ბედოშვილი

# საყმაწვილო ლიტერატურის „ახალი ჟანრი"

წარმოდგენილია, რომ თანამედროვე ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ავკარგზე რამდენიმე ფხიზელი თვალით მოკვლეულმა კარგა ვერ შენიშნეს ის პროცესი, რომელიც ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი პერიოდული გამოცემების სიუხვით და მრავალფეროვნებით არის გამოწვეული. მახსოვს, ადრინდელი პერიოდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სულის ჟურნალები „დილა" და „პიონერი", აგრეთვე, ბავშვთა უმიჯნურესი გაზეთი „ნორჩი ლენინელი" (ამჟამინდელი „ნერგი") გულდაგმით. ჩვენ ამ გამოცემათა კითხვაში, როგორც იტყვიან, ვათენ-ვაღამებდით. გამოცემათა პუბლიცისტიკის მიუხედავად მაშინდელი ახალგაზრდობის სულიერ და მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას ეროვნული სულიც არ უკლია! ეს ჩემი კერძო მოსაზრებაა და მას თავს არავის ვახვევ. დღევანდელ საქართველოში, კერძოდ თბილისში, იმდენი საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთი გამოიცემა, რომ კაცს ზოგიერთის სათაურიც აგერევა. ოღონდ უნდა შევნიშნო, გამოცემათა რაოდენობრივი სიმრავლე თუ სიკარგე [illegible] რიგით ხარისხის ადეკვატური. ბარემ აქვე ვიტყვი, თუ საყმაწვილო ჟურნალმა „დილამ", აგრეთვე გაზეთმა „ნერგმა" არა მარტო შეინარჩუნა ძველი, სახელოვანი ტრადიციები, არამედ ბევრი ორიგინალური სიახლეც შემოგვთავაზა (აღნიშნულ რედაქციათა თანამშრომლების საქმიანობა მაღალპროფესიული, მე ვიტყოდი, ფანატიკური სიყვარულისა და თავდადების წყალობით!). ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ ახლად დაარსებულ საყმაწვილო ჟურნალის შესახებ.

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვისახავთ მიზნად ხელდაღებით ვისაუბროთ ზოგადად ქართული საყმაწვილო გამოცემების ავკარგიანობაზე, მის მიღწევებსა თუ ცალკეულ ხარვეზებზე. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ საყმაწვილო ჟურნალ „დიას" ერთერთ ნომერში გამოქვეყნებულ მასალის როგორც ეთიკურ, ისე სულიერ-ესთეტიკურ და მხატვრულ-იდეურ არც აღმზრდელობით მახასიათებლებზე. თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ „დიას" 2001 წლის 1-14 მაისის №8 ჟურნალს, ვითარება საგანგაშოდ აღმოჩნდება. „დიას" ამ ნომრის ერთბაშად და მასალობრივი ანალიზი პირადად ჩემში იწვევს შიშის გრძნობას, რადგან დარწმუნებული არა ვარ იმაში, რომ თხრობის ასე მდარე ხარისხის მოთხრობების ერთი ნაწილის ასეთ უხამსობას ჟურნალის რედაქტორი, ბატონი [illegible] მომავალში აღკვეთს. მაპატიოს ბატონმა რედაქტორმა ამგვარი კატეგორიულობა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ იგი ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდეზე ზრუნვით დიდად არ უნდა იყოს შეწუხებული. ეს თუ ასე არ არის, ჩვენი ენის აბუჩად ამგდებ ავტორებს საკუთარ საყმაწვილო ჟურნალში როგორ გააჭაჭანებდა?!

ზემოთ ჟურნალ „დიას" ფურცლებზე გამოქვეყნებული ზოგიერთი პროზაული მასალის უხამსობის შესახებ ვთქვი სიტყვა. ნურავინ იფიქრებს, თითქოს სათქმელი შემშლოდეს ან ფაქტის ხელოვნურ ეგზალტირებას ვახდენდე. [illegible] დამიჯერეთ! და თუ მაინც მაგანი და მაგანი ჩემს ნათქვამს ნასაყვედურებელი კაცის პოზიციად ჩათვლის, მაშინ კეთილი ინებოს, ჟურნალებით წაიკითხოს ნიკოლოზ იოსებიძის ორი გალიტერატურებული ანეკდოტი „შამპალა" (გვ. 4) და „ხალიჩა" (გვ. 6) და საიმისოდ დასკვნებიც თვითონვე გამოიტანოს. არა მგონია ჩვენს ახალგაზრდებს შორის მოიძებნოს ისეთი მდარე გემოვნების მკითხველი, რომ შავი თეთრისგან ვერ გაარჩიოს და მხატვრულ ნაწარმოებად გასაღებული ანეკდოტური მაარული ამბავი, ამახინჯებით, მწერლობის ნიმუშისაგან ვერ გაარჩიოს. მე, ბუნებრივია, მიჭირს ამ ანეკდოტური უხამსობით ნასაზრდოები პროზაული „ნიმუშების" შინაარსის გადმოცემა. მაგრამ ვინაიდან ცოდნის მწადებელს [illegible] რომ არ მომაყვირის, გავბედავ მათი შინაარსების მოყოლას.

ავტორის მიხედვით რეალურად მომხდარ ამბავზე ყოფილა აგებული მოთხრობა „შამპალა". გაურკვეველი ავტორით გაკეთებული ფაქტი ოზურგეთის რაიონის სოფ. ხვარბეთში მეზობლად მცხოვრებ ადამიანებს გადახდენიათ. ყოფილა ორი მეზობელი, ერთი უშვილძირო დარჩენილა, მაგრამ მეგობრობით კარგა გვარიანი ღვინო მოუყვანია. მეორე, წვრილშვილიანი პატრონი, ძალზე ხარბაცი და უგერგილო კაცი ყოფილა. მის ეზოში ხე რომ ხე არის, ისიც არ მდგარა. ხარბაცის 6 თუ 7 ინავარი (ავტორი ვერც ასახელებს მათ რიცხვს!) თავიანთ სიღარიბეს დიდად არც ნაღვლობდა. რადგან უშვილო მეზობელი საკუთარ ეზოში მდგარ შამპალის ხეზე ასულან და ნაყოფს

ძლიმისად მირთმევას არასოდეს უშლიდა. როგორც ვხედავთ, აქამდე ყველაფერი „ნორმის ფარგლებშია" და ავტორის მიმართ სასაყვედუროც არაფერი გვაქვს. მთავარი ამბები მოთხრობის მეორე ნაწილში ვითარდება. ერთ დღეს უშველებელი გურულს გადაუწყვეტია დაიმორჩილოს ზარმაც მეზობლის, რომ ეზოში მასაც ხვდომოდა შამბალის ხეები. მაგრამ არ იკითხავთ, რაიარად და რა მანქანებით?.. შამბალის ხეს შესული ბავშვები პატრონმა „მანამდე არ ჩამოუშვა... სანამ მუცლები არ დაუბერათ და ტკივილისგან ბღავილი არ მორთეს".

– „ჩამითი ახლა ძირში. წადი სახლში და მოსაქმება რომ მოგინდებათ, ეზოში ქენით. იქნებ კურკაც მაინც ამოვიდეს აი დასაწყავი შამბალა. თორემ მამათქვენი ხის დამრგველი არაა!"

პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაჭრაც ამას ჰქვია? მართალია, ავტორის ვულარ შეუწუხება, ბავშვმა შეუსრულეს შამბალის პატრონს დავალება. მართლა ეზოში მოისაქმეს, თუ ტუალეტში. მაგრამ მოთხრობის ავტორი ბოლომდე ინარჩუნებს იუმორისტულ განწყობილებას და ასკვნის: „თუ ბავშვებმა მეზობლისგან ქუდის დარიგება შეისმინეს, ალბათ, მათ ეზოში შამბალის მეტი არაფერი არ იქნება". (ავტორის სტილს ვცვლით უცვლელად ვტოვებთ. გ. ბ.)

შენ შეგარცხვინა ლიტერატურამ ნიკოლოზ, ეს რამდენი გავიცინე! ბარაქალა შენს მწერლურ კალამს და გამომგონებლურ ნიჭს! არადა, ამ დიდღაცვლილ ამერიკაში დღეს უხამსი ანეკდოტების მეტს კიდე რას გაიგონებს! მოდექი და, რამდენიც გინდოს, როგორიც მოუცილებლადაც გინდოს. წერე და მეჭდე, ვინ არის დაინტერესებული ან ხმის გამცემი... შენ ფული და ჩაბარება თქვი, თორემ...

ახლა განვიხილოთ ნიკოლოზ იოსებიძის მეორე პირში-პროზაული ქმნილება „სიდონია", რომელიც უხამსობით „შამბალას", ვგონებ, ბევრად აჭარბებს.

მწერალი მკითხველს ბეჯითად კვლავ შეახსენებს, „სიდონია" ნამდვილი ამბავია, თითიდან გამოწოვილი არაფერს გვეუბნება. სიდონიას, ალბათ დაქვრივებულ ქალს, ცხოვრება უჭირად გადაუწყვიტია, მაგრამ სამოცს კი ხის გადაცილებულს, სიყვარულის გრძნობა კვლავ სწყვეტია. მაგრამ პირველ სიყვარულს მეორე დაუგავშნია და ქალს გულის კარი არავისთვის გაუღია. იმავე სოფელში (თუ ქალაქში, არ ჩანს!) უცხოვრია ერთ ხანდაზმულს, ასე 65-75 წლის მამაკაცს, ოღონდაც ვქიმად ნამუშევარს. იმხანად კი მოლდოვეების წინააღმდეგ შამქომაკაცები უბან-უბან მოხიარულე კაცს, რომელსაც სიდონიას ცოლად შერთვა სდომებია. მაგრამ ქალს გულისნადებს ვერ უმჟღავნებდა. სიდონია „მისით ხვდებოდა ყველაფერს", მაგრამ სამიჯნურო საუბარს თავს „დიდი თავაზიანობით" არიდებდა. ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და აი, ერთ დღეს, დილის 9 საათზე, ბატონი დავითი სატრფოს შინ ეწვია. მას სიდონია კიბის საფეხურზე შეეგება. დავითი ქალს წინ გადაუდგა, შესაძლოა, მუხლის მოსაყრელად. მაგრამ სიდონიას მთელი ღამის ნაგროვები შარდი აწუხებდა და სწორედ ამიტომ „პირველად, ბავშვობის შემდეგ, ფეხი ფეხზე გადააჯვარედინა, რათა შარდის ნიაღვარი (!) შეეჩერებინა". ქალმა დიდი ძალისხმევით შარდი კი შეიჩერა. მაგრამ „მეორე მხარის ღიობმა უღალატა!" (ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა, მწერალი „მეორე მხარის ღიობის" ნაცვლად პირდაპირ „უკანა ღიობს" თუ დაწერდა. ამით შთაბეჭდილება ერთიანად გაიზრდებოდა). ღალატიც არის და ღალატიც! მუცლის რეში დაგროვებულმა გაზებმა „გაარღვია ყოველგვარი "ინდობა და მეხუთე საფეხურის (არც მეტი, არც ნაკლები) წინა ხაზთან იფეთქა!" იქნებ ვერ შეიტყობი და ქალმა იმ სრიალა-ქუხილში კიბის მეექვსე ან მეოთხე საფეხურზე (მეხუთე საფეხურზე ხომ თვითონ სიდონია იდგა!) წყნარად ჩამომჯდარ კატას დაუცაცხანა. ბრის-ო! „ბრისის" თქმა და ქალის უკანა ღიობიდან „მთელი კანონადის" მოყოლება ერთი იყო! ამ სცენის, თურმე, ფანჯრიდან უცქერდა სიდონიას „ისტერიულად ახარხარებული" ვაჟიშვილი, რომელსაც უბღავლია:

„დედა! გაანებე კატას თავი, მაგის მუტრუკა პატრონი და დროზე წაი ტუალეტში, სანამ ვარეხი მარცხი არ მოგსვლია..." (გაურკვეველი კილოური თავისებურებანი ავტორის მიერ შესაშური სიზუსტით არის გადმოცემული). და ყოველივე ეს ხდება კარზე ხელის სათხოვად მისული სასიძოს თვალწინ და ყურწინ! მან მორცხვად დახარა თავი და უკანასკნელად გაალო სიდონიას ჭიშკარი. ამ ერთი ლაკონური ფრაზით, განსაკუთრებით კი „უკანასკნელად" სიტყვის ჩართვით მწერალი ნათლად მიგვანიშნებს, სიყვარულის კიდევ ერთი ისტორია უღმერთოდ დასრულდა!

ხომ გაერთეთ, მკითხველო? მე კი, ჩემი მხრივ, მადლობა უნდა ვუძღვნა უფალს, რომ ნიკოლოზ იოსებიძის ეს ორი პორნოშედევრი „დედაენის" რომელიმე გამოცემაში არ მოხვდა და მხოლოდ „დაწის" კუთვნილებად დარჩა.

# ქართული ლექსიკოლოგიის შენაძენი

**სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის“ სერიით გამოსცა ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“ გთავაზობთ წიგნის წინასიტყვაობას (შემოკლებით)**

ძველი ქართული ენის ლექსიკური ფონდის შეძლებისდაგვარად სრულად აღრიცხვა უდიდესად საშური საქმეა. ამასთან ყველა წერილობითი ძეგლის გამოუცემლობის, სრული კომპიუტერული ბანკის არარსებობის გამო ეს საქმე ჯეროვნად ფერხდება.

1973 წელს დაიბეჭდა ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“, რომელშიც შესულია თითქმის 12 000 ლექსიკური ერთეული. ბუნებრივია, ეს უმნიშვნელოვანესი ნაშრომი ვერ ამოწურავს ძველი ქართული ენის ლექსიკურ მარაგს. მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით საშური საქმეა. 1995 წელს დაიბეჭდა ჩემი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“. მასში შეტანილია 10 000-ზე მეტი ისეთი სიტყვა, რომლებიც არ ასახულა ილია აბულაძის ლექსიკონში. ამ ლექსიკონს მოჰყვა გარკვეული გამოხმაურება, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ჩემთვის უდიდესად ფასეულია ელიზბარ ჯაველიძის საკმაოდ ვრცელი რეცენზია („კალმასობა“ 11 (24), 1998 წ.), რომელშიც გამოთქმულია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შენიშვნები, რომლებიც დიდად სასარგებლოა არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, ვინც ძველი ქართული ენის ლექსიკის შესწავლას მიჰყოფს ხელს.




წინამდებარე წიგნში შესულია 28 400-ზე მეტი ლექსემა. ცალკე ერთეულებად არის წარმოდგენილი ზმნა და სახელი ფორმები (საწყისი, მიმღეობის ფორმები, აგრეთვე ერთმანეთს დაშორებული ზმნისწინის არეული და სახეცვლილფორმიანი ერთეულები). ძირთა ოდენობა, რაც ამ წიგნში სხვადასხვა წარმოქმნილ ფორმაში არის წარმოდგენილი, შედარებით მცირე – 3 700-ს უახლოვდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ესა თუ ის ლექსიკური ერთეული წერილობით წყაროებში შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდეს. უკვე ადრიდანვე დაიწყო გარკვეული თეოლოგიური და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნა, რასაც ფართო მასშტაბი მიეცა XI–XII საუკუნეებში. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამ ტერმინოლოგიის სათანადოდ ასახვა ძველი ქართული ენის ლექსიკონის ვალია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ამ ტერმინოლოგიის შესასწავლად ბევრი რამ გაკეთდა (ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ძოწენიძე, მ. კახაძე, მ. რაფავა, დ. მელიქიშვილი... განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ელიზბარ ჯაველიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ტერმინოლოგია“, რომლის პირველი ტომი 1996 წელს გამოქვეყნდა). შემდგენელმა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო იშვიათი გამონაკლისების გარდა შეგნებულად აარიდა თავი ამ ტერმინთა ლექსიკონში შეტანას. ამ უდიდესად საინტერესო მასალის შედარებით სრულად გამოყენება მომავლის საქმედ გვესახება.

ძველი ქართული ენის ლექსიკის კვლევით ჩემს დაინტერესებას საკმაოდ ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა და ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამ დარგში რაიმე გავაკეთებდი. ოთხი ათეული წლის განმავლობაში ძველ წერილობით ძეგლებზე მუშაობისას დამიგროვდა გარკვეული მასალა, რომელიც, ჩემი აზრით, შესაძლოა გამოადგეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. მე შევადგინე მაქვს ვრცელი დოკუმენტირებული ლექსიკონი, რომელიც ნიადაგ ივსება და რომლის გამოქვეყნებასაც არ ვჩქარობ, თუმცა „ჟამს მომცხოვრებისასა“ ყველაფერი შეიძლება საშური იყოს.

წინამდებარე წიგნისთვის მასალები ამოკრებილია ჩემივე დასახელებული ლექსიკონებიდან, აგრეთვე გამოცემულ ტექსტებზე დართული ლექსიკონებიდან. გამოყენებულია ხელნაწერების მონაცემები. ამ სტრიქონების ავტორს კარგად აქვს შეგნებული, რომ ძველი ქართული ენის ლექსიკური მარაგის ამოწურვა შეუძლებელია. რადგანაც, ერთი ცნობილი გამოთქმა რომ შევაჯეროთ, „ქართველთა ენა უფსკრულ ღრმა არის“. სრული ლექსიკონის შექმნამდე წინ თაობათა სამუშაოა. ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ ეს წიგნი გამოადგება ძველი ქართული ენისა და მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ პირებს. როგორც საბა ბრძანებს: „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე“ და „თქვენ ღმრთისმოყვარენო, რომელთა მოგეცეს უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქვენ შეასრულეთ“. მე თავს ერთი ბრძნული გამონათქვამით ვიმშვიდებ: „ყოველი საქმე, ძალისაებრ ქმნილი, სათნო არს“ (ა-1 24,17)

# კრაკოვის საერთაშორისო კონგრესზე




2001 წლის 11-16 ივლისს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ჩატარდა სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის (IIS – International Institute of Sociology) რიგით 35-ე მსოფლიო კონგრესი, რომლის სახელწოდებაც იყო „თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი ქსოვილი" (The Moral Fabric in Contemporary Societies). IIS XIX საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. კონგრესი ჩატარდა IIS-ისა და იაგელონის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით. კონგრესს ხელმძღვანელობდა IIS-ს ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი ეროზინა სკალნა.

სოციოლოგიის 35-ე საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ 44 ქვეყნის (ავსტრალიის, ავსტრიის, ბელორუსიის, ბრაზილიის, ბრიტანეთის, გერმანიის, გაერთიანებული არაბთა ემირატების, ისრაელის, ესპანეთის, ზამბიის, იაპონიის, იტალიის, ისლანდიის, ირლანდიის, ირანის, ინდოეთის, კანადის, კორეის, ლიბანის, ლიტვის, მალტის, მექსიკის, ნიდერლანდების, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, რუსეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, საფრანგეთის, საქართველოს, სლოვაკეთის, სლოვენიის, სერბეთის, სუდანის, ტაივანის, ტუნისის, უკრაინის, ფინეთის, შვედეთის, შვეიცარიის, ჩეხეთის, ჩინეთის, ჰოლანდიის, ჰონგ-კონგის) წარმომადგენლები. თემატურად მრავალფეროვანი კონგრესი მრავალსექციური იყო. წარმოდგენილი იყო ერთობ საინტერესო მოხსენებები. კონგრესის საერთო სახელწოდების გათვალისწინებით მოხსენებები ძირითადად ეხებოდა ეთიკის, ზნეობის საკითხებს, არაეთიკური მოქმედებისა და ზნეობრიობის ნორმების დარღვევის მიზეზებს, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში, ცხოვრებაში, პოლიტიკაში.

საქართველოდან მხოლოდ ზემოხსენებ-ულ საერთაშორისო კონგრესზე წარმოდგენილ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებული ინგლისურ-ქართული ენების თავისებურებების შემსწავლელი ლინგვისტური ცენტრის წევრები.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლიდა გოქსაძე (ცენტრის ხელმძღვანელი). ხელმძღვანელობდა კონგრესის ერთ-ერთ სექციას, ზოგადი სახელწოდებით „სახის ღირებულებები და ვერბალური ქცევის სხვადასხვა ნორმები სხვადასხვა კულტურებში". მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „კულტურული ღირებულებები და ნორმების რღვევა სახის დაკარგვის საშიშროების ფაქტორთა მიმართებაში" (Cultural Values and Breach of Norms as a Face-Threatening Factor).



დოცენტი ნინო დარასელია – „ორაზროვნება როგორც სახის გადარჩენის მეთოდი" (Doublespeak as a Face-Saving Means).

ასისტენტი ლია გოქსაძე – „სახის ღირებულებები და ასპექტის კატეგორია" (Face Values Through the Category of Aspect).

ასისტენტი ნინო რეხიძე – „სახე და თავაზიანობა სოლიდარობის გამოხატვისას თანამედროვე ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში" (Face and Politeness While Expressing Solidarity in Present-day English, Georgian and Russian).

მაგისტრანტი ლიკა ჭანტურია – „სახე და მოდალობა ინგლისურსა და ქართულში" (Face and Modality).

მაგისტრანტი თორნიკე გოგოლაშვილი – „სახის ღირებულებები საგაზეთო კომუნიკაციაში" (Face Values in Newspaper Communication).

ბაკალავრი ანი ბიჭიკაშვილი – „თავაზიანობა საჩუქრის მიღება-არმიღებისას" (Politeness in Accepting and Rejecting Presents).

კონგრესი მაღალ დონეზე ჩატარდა, რის გამოც ორგანიზატორებმა უდიდესი მადლობა და დიდი პატივისცემა დაიმსახურეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალბატონი ფრანცისზეკ ზიელკა, იაგელონის უნივერსიტეტის რექტორი, IIS-ს ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი ეროზინა სკალნა.

მომავალი კონგრესი გაიმართება 2003 წელს ჩინეთში.

ერთობ შთამბეჭდავი იყო ხუთასწლოვანი იაგელონის უნივერსიტეტი. იგი დაარსდა კაზიმირ დიდის მიერ 1364 წელს. აქ სწავლობდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ კოპერნიკი (1491-95) და რომის პაპი იოანე პავლე II (1938-39, 1942-46) სწორედ ამ... ასევე დიდი ინტერესით დავათვალიერეთ რენესანსის ტრადიციული ვაველის სამეფო ციხე-დარბაზი და საერთოდ კრაკოვის ღირსშესანიშნაობები (კრაკოვი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ლამაზი ქალაქია ცენტრალურ ევროპაში, რომელიც შეტანილია UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის სიაში). ერთობ თბილი და დასამახსოვრებელი იყო მიღება-შეხვედრა კონგრესის მონაწილეებისთვის ქალაქ კრაკოვის მერმა მოაწყო ძველ გოთიკურ დარბაზში. მიღებაზე ქართველმა დელეგაციამ მასპინძლებს ძველი თბილისის ფერწერული ტილო გადასცა.

თ. ბოჭოლაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის სადისერტაციო საბჭომ (р. 10. 09. №6; თავმჯდომარე პროფ. გ. კვარაცხელია) **ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის** ხარისხი სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა

**ციცინო კვანტალიანს**

**დისერტაციის თემა:** ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი დანიშნულება ახალ ქართულში

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:** პროფ. ბ. ჯორბენაძე, პროფ. გ. გოგოლაშვილი

**ოფიციალური ოპონენტები:** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. სუხიშვილი, დოც. შ. აფრიდონიძე

დისერტაციის დაცვა გაიმართა **2001 წლის 25 სექტემბერს.**

**თეა ბურჭულაძეს**

**დისერტაციის თემა:** შერწყმული წინადადება ქართულში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. თ. უთურგაიძე

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. გ. გოგოლაშვილი, ფილ. მეცნ. კანდიდატი ნ. ცქიტიშვილი

დისერტაციის დაცვა გაიმართა **2001 წლის 9 ოქტომბერს.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭომ (№3 07. 02. №2) **ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა

**დავით შავიანიძეს**

**დისერტაციის თემა:** დასავლეთ საქართველოს ეთნოისტორიიდან (ოკრიბული ონომასტიკური მასალების მიხედვით)

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. თოფჩიშვილი

**ოფიციალური ოპონენტები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თ. ბერაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გოცირიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ცხადაია

დისერტაციის დაცვა გაიმართა **2001 წლის 19 სექტემბერს.**

## მოსწრებული სიტყვა

# ჩოხელთ გიგოლას სხარტულები

(იმედა ბობოჭურისაგან გაგონილი)

* * *

ჩოხელთ გიგოლამ, სიბერეში გაზრდილმა კაცმა, ღვთით, მაღალი ოჯახი მოიყვანა – სოფელ-ქვეყნის სიკეთე, ერთიმეორის უკეთესი, ვაჟი შეხედა, ბიჭები დედ-მამის ნაურდის არ გადადიოდნენ – იქნებ ისეთივე ალალმართლები, გამრჯენი, მხარკეთილები...

უფროსი ვაჟი, ელიზბარი, სოფლისთვის რამ იქნებოდა. მეზობლებმა გიგოლას კარზე სიარული უმატეს: დღე ერთი იყო, რჩევა – ათასი:

– ნეტავი, გიგოლავ, გვაცოდინა, ვის უკეთ უფროსი ვაჟი, ღმერთს მადლი, მოვესწრო. უკვე ბრძლის სიცოცხლე გჭირს, ამდენი ხელით დარჩენილი საპატრონო ზის და ბევრს ელოდება... ალუქი და დანიშნე კაცი..

– რატომ უნდა დავნიშნო? – მიუგო გიგოლამ, – განა ისე ვარ გადაუმჯობესებელი, ელიზბარი სულ შელში დავნიშნავდე ყველას გაგონით?!

* * *

გიგოლა ერთ დღეს სნოტებსა და ღორის კოლტს უვლიდა. ცოლიც შინიასით საქმიანობდა, თავის სავენახეში ნამუშევარი. სად იყო, სად – არა, ღორის კოლტს მგელი გამოუვარდა, ერთ მსუქან ბურვაკს ეცა და წაიღო და... ბურვაკის ჭყივილმა იქაურობა გააყრუა.

– არიქა, გიგოლო! – დაუძახა ცოლმა, – მგელმა ბურვაკი დაგვიტაცა. უშველე, კაცო, იქნებ როგორმე დაავლებინო!..

– აბა, რაღა ვქნა, სადღა ვუშველო?.. მაგ ოხერ მგელს ბურვაკი სულაც ყელში ჩასჩხირის, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლის... ჩემს ძახილს განა კი რამეს ნაიგებს?..

* * *

ერთ დღეს გიგოლა სამახლო ხის საჭრელად ტყეში შევიდა. ბევრი იარა და ბოლოს ერთ წიფლის შამბლას დაადგა თვალი. ისეთი, წვერით ცას სწვდება. მოვიდა, შეათვალიერა და რას ხედავს: ვილაცას უკვე სათავისოდ მოუნიშნავს. სე შემოუჭდვია, კანი სამგურგლივ შემოუფრქვია...

– ერისა! – ჩაილაპარაკა გიგოლამ, – უკვე დაუსწრიათ, ვილაცას ხელი დაუდვია... წავალ, მეც სხვას რამეს მოვძებნი...

იარა, იარა, მაგრამ გულმა მაინც იმ მონიშნულ ხესთან მიიყვანა:

– რამდენი ხის ძირში მივედი, მაგრამ, ღვთის მადლმა, ასე სე არ მომწონებია! – თქვა გიგოლამ და წიფლის ზრის თვალი სარმალ ააყოლა-ჩამოაყოლა.

– არა, უამხელოს მე აქედან წამსვლელი არა ვარ! – ბუტბუტით ჩაილაპარაკა გიგოლამ. – მერე რა, ვილაცამ თუ შემოჭრა, თუ მონიშნა და ხელი დაადო!.. ამდენ ხანს რას უცდიდა, ვის უცდიდა. მოჭრიდა და წაიღებდა!.. ვინ იცის, ალბათ ახსოვს, ან წუნი დასდო, სხვა სე თუ რამ შეარჩია!..

ასწია გიგოლამ ცემრით და ხის ჭრა დაიწყო. ჭრიდა სარმალ, გამალებით. შუა ჭრაში შესულს თავს სიცრემის მეუფლირი, აჭიმა იასები. წამოდგა.

– რას შვრები, გიგოლავ, სხვის შემონიშნულს. უკვე დანიშნულ ხეს რა ნამუსით ჭრი?

– ნამუსით კი არა, ცულითა ვჭრი...

– შენ ვსხლი საქმის ბანზევით ნუ მიგდებ!.. იმიტომ მოვნიშნე, იმიტომ შემოვჭერი, რო თავად მინდოდა!..

– რა ბედენაა, ძმობილო, შენ თუ თავად გინდოდა, მე კიდევ მინდა!..




ვამეხ ოქუჯავას ნახატები






ჰ 350/1


გამოცემა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა
დედა ენა
პირველი ნაწილი
ქართული ანბანი
პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით
შედგენილი
იაკობ გოგებაშვილის-მიერ
ოც-და-მეცამეტე გამოცემა, მრავალი სურათით
ფასი ორი შაური, ყდით სამი შაური.
ტფილისი
1912.